საქართველოს რესპუბლიკა

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ორგანო

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან | № 75 (95) | ხუთშაბათი, 18 აპრილი, 1991 წელი. | ფასი 10 კაპიკი

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბატონ ზვიად გამსახურდიას ინტერვიუ იაპონიის ტელეკომპანია „ფუჯის“ კორესპონდენტთან

იაპონიის ტელეკომპანია „ფუჯიმ“ თავის საინფორმაციო პროგრამაში მონაწილეობა სთხოვა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს ბატონ ზვიად გამსახურდიას. და აი, 16 აპრილს საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სხდომათა დარბაზში შესდგა დაპირებული ინტერვიუ, რომელიც ცოცხლად ჩაერთო „ფუჯის“ საინფორმაციო პროგრამაში.

გთავაზობთ ამ ინტერვიუს:

ზვიად გამსახურდია: ჩვენ გამოვაცხადეთ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა და მივმართეთ მსოფლიოს ყველა ქვეყანასა და სახელმწიფოს, ცნონ საქართველო, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო და საერთაშორისო სამართლის ობიექტი. ჩვენი მიზანია აღვადგინოთ ჩვენი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, რომელიც დავკარგეთ 1921 წელს საბჭოთა რუსეთის არმიის მიერ ანექსიის შედეგად. ახლა ბევრი პრობლემის წინაშე ვდგავართ, რადგან მოსკოვს, ცენტრს არ სურს ოფიციალური კავშირი ჩვენთან და არ უნდა აღიაროს ჩვენი დამოუკიდებლობა.

კორესპონდენტი: თქვენი აზრით, როგორი იქნება საბჭოთა კავშირის მომავალი?

ზვიად გამსახურდია: 15 აპრილს გაიმართა სრულიად საკავშირო საგაფიცვო კომიტეტის შეკრება მოსკოვის საქალაქო საბჭოში. განიხილეს საკითხი, თუ ვის უნდა გადაეცეს ძალაუფლება გორბაჩოვის შემდეგ. ასე რომ, გორბაჩოვის გადადგომა გადაწყვეტილია. ახლა საგაფიცვო კომიტეტი ფიქრობს შექმნას ახალი ფედერაციის ტიპის საბჭო ან ახალი კოალიციური მთავრობა, რომელშიც შევლენ რესპუბლიკების საზოგადოების წარმომადგენლები. ამჟამად მოსკოვს არა ჰყავს ხელისუფლება. ყველა ხელმძღვანელი უცხოეთში გაემგზავრა: გორბაჩოვი იაპონიაში, პავლოვი ინგლისში ჩავიდა, ელცინი კი — საფრანგეთში

კორესპონდენტი: გორბაჩოვი იაპონიაში იმყოფება. თქვენ 14 აპრილს საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი გახდით. ხომ არ გადასცემდით რაიმეს გორბაჩოვს?

ზვიად გამსახურდია: დიახ, გადავცემ. იაპონიაში გამგზავრების წინ მე მას მიმართვა გავუგზავნე. საქართველოსა და ლიტვის საშინაო საქმეებში მოხდა შეიარაღებული ძალების ჩარევა მაშინ, როცა გორბაჩოვი საბჭოთა კავშირში არ იმყოფებოდა. ახლაც არსებობს საქართველოს წინააღმდეგ შეიარაღებული აგრესიის საშიშროება. თუ ეს მოხდება, მაშინ მთელი პასუხისმგებლობა გორბაჩოვს დაეკისრება, მიუხედავად იმისა, რომ იგი არ იმყოფება თავის ქვეყანაში.

კორესპონდენტი: სამხრეთ ოსეთის სიტუაციაზე რას ფიქრობთ?

ზვიად გამსახურდია: ეგრეთ წოდებული სამხრეთ ოსეთის პრობლემა ხელოვნურად არის ინსპირირებული მოსკოვის მიერ. მოსკოვი და გორბაჩოვი ამ პრობლემას იყენებენ ჩვენს წინააღმდეგ. ისინი საქართველოს იმიტომ სჯიან, რომ დამოუკიდებლობისათვის იბრძვის. დამოუკიდებლობის დეკლარაციის გამოქვეყნებისთანავე ეგრეთ წოდებულ სამხრეთ ოსეთში დამატებითი შენაერთები შემოიყვანეს. სიტუაცია დღითი-დღე უარესდება. ეს მოსკოვის დამსჯელი ოპერაციაა. ოსი ექსტრემისტები მოქმედებენ მოსკოვის მხარდაჭერით.

კორესპონდენტი: როგორ ფიქრობთ, რა გზით მოგვარდება საკითხი?

ზვიად გამსახურდია: სანამ ცენტრი იარსებებს, პრობლემა ვერ გადაიჭრება.

კორესპონდენტი: თუ ჯარებს გაიყვანენ?

ზვიად გამსახურდია: თუკი გაიყვანენ ჯარებს ეგრეთ წოდებული სამხრეთ ოსეთიდან, მაშინ ყველაფერი მოგვარდება.

კორესპონდენტი: ეს როდის მოხდება?

ზვიად გამსახურდია: ჩვენ ახლა დავიწყეთ საყოველთაო გაფიცვა და გამოვაცხადეთ ეროვნული დაუმორჩილებლობა საბჭოთა ჯარების გაყვანის მოთხოვნით.

კორესპონდენტი: ფიქრობთ, რომ ეს გაფიცვა ზეგავლენას მოახდენს მოსკოვზე?

ზვიად გამსახურდია: მოახდენს, რადგან იგი საბჭოთა ეკონომიკის პარალიზებას გამოიწვევს.

კორესპონდენტი: როგორ ფიქრობთ, რომელი პრეზიდენტი გადაარჩენს საბჭოთა კავშირს?

ზვიად გამსახურდია: ვერც ერთი. საბჭოთა კავშირი უნდა დაიშალოს. ყველა რესპუბლიკამ დამოუკიდებლობა უნდა მოიპოვოს. ესაა გზა ხსნისა. ვერც ერთი პრეზიდენტი ვერ უშველის საბჭოთა კავშირს.

კორესპონდენტი: რუსეთის ლიდერზე რას გვეტყვით. ვინ არის შესაფერისი ამ პოსტისათვის?

ზვიად გამსახურდია: ელცინი. აქვე უნდა გითხრათ, რომ მივესალმები იაპონელ ჟურნალისტებს საქართველოში, მაგრამ რაოდენ მაოცებს ის ფაქტი, რომ ოფიციალური იაპონია არ იჩენს ინტერესს საქართველოს მიმართ. მოსკოვიდან იაპონიის საელჩოს წარმომადგენელიც კი არ ჩამოსულა ჩვენთან. ჩვენ გვსურს კონტაქტები გვქონდეს არა მარტო ჟურნალისტებთან, არამედ იაპონიის ოფიციალურ წრეებთანაც. ეს ჩვენი სურვილია.

კორესპონდენტი: თქვენი ეკონომიკური სტრუქტურა... როგორი იქნება იგი მომავალში?

ზვიად გამსახურდია: ეკონომიკური კავშირები გვაქვს სხვადასხვა ქვეყნებთან, საბჭოთა კავშირის რესპუბლიკებთანაც. ჩვენი ეკონომიკა გაუმჯობესდება სრული დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, როცა საქართველო თავს დააღწევს იზოლაციას. საბჭოთა კავშირმა საქართველოს იზოლირება მოახდინა მსოფლიოში მიმდინარე ეკონომიკური პროცესებისაგან. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ მდგომარეობა გამოსწორდება, მაგრამ ისეთმა ქვეყანამ, როგორიც არის იაპონია, მხარი უნდა დაუჭიროს რესპუბლიკებს და არა ცენტრს. ასე უფრო უკეთესი იქნება.

კორესპონდენტი: თქვენ ბევრი სპეციფიკური საშინაო პრობლემა გაქვთ. თუ გაქვთ პროგრამა მათ დასაძლევად?

ზვიად გამსახურდია: გვაქვს, რა თქმა უნდა. ეს პროგრამა ეფუძნება თავისუფალ საბაზრო ეკონომიკას და არის ანტისოციალისტური.

კორესპონდენტი: როგორ აფასებთ საბჭოთა ეკონომიკის 78 წლიან პერიოდს?

ზვიად გამსახურდია: ეს არის სრული დანგრევა. დღეს საბჭოთა კავშირი კრიზისსა და ნგრევას განიცდის. არსებული ეკონომიკური სისტემის გამოა ეს ყველაფერი. სისტემა უნდა შეიცვალოს.

კორესპონდენტი: როგორ ფიქრობთ, რამ უნდა განაპირობოს სრული ეკონომიკური და პოლიტიკური დამოუკიდებლობის მიღწევა?

ზვიად გამსახურდია: ეს დამოკიდებულია დასავლეთის ქვეყნების აქტიურ მხარდაჭერასა და საბჭოთა კავშირში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების სწორ გაგებაზე.

კორესპონდენტი: ახლა ხელსაყრელი სიტუაციაა საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებისათვის?

ზვიად გამსახურდია: დიახ, ვფიქრობ, ამისათვის საუკეთესო პირობებია. ახლა ყველა რესპუბლიკა იბრძვის დამოუკიდებლობისათვის და ცენტრიც აღარ არის ისე ძლიერი, რომ შეებრძოლოს ამ მოძრაობას.

კორესპონდენტი: ზოგიერთი ჟურნალისტი მოსკოვში ამბობს, რომ თავდაპირველად სწორედ გორბაჩოვმა დაიწყო ლიბერალიზაცია...

ზვიად გამსახურდია: დიახ, ასეა, მაგრამ იგი იძულებული გახდა დაეწყო. დასავლეთის ქვეყნებმა, უწინარესად კი, ამერიკის შეერთებულმა შტატებმა აიძულა იგი დაეწყო ეს პროცესი. ამერიკამ დაიწყო გარდაქმნა და არა გორბაჩოვმა.

კორესპონდენტი: გმადლობთ ინტერვიუსთვის.

მთავრობის მოამბე

ურთიერთხელსაყრელი კონტაქტები

16 აპრილს თბილისს ჩამოვიდა თათრეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის დელეგაცია რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის რავილ მურატოვის მეთაურობით. დელეგაცია, რომელსაც თბილისის აეროპორტში დახვდა საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის პირველი მოადგილე ბატონი მურმან ომანიძე, ჩამოვიდა კონკრეტული მიზნით: გააგრძელოს და გააღრმავოს ურთიერთხელსაყრელი კონტაქტები, რომლებიც არსებობს საქართველოსა და თათრეთს შორის.

17 აპრილს დელეგაცია მიიღო რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარემ ბატონმა თენგიზ სიგუამ. მან აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა ენიჭება თანამედროვე ეტაპზე პირდაპირ ურთიერთხელსაყრელ კონტაქტებს, რომელთა განხორციელება მხოლოდ ამ ორი მხარის საქმეა.

საუბრის დროს მხარეები შეეხნენ მწვავე ეკონომიკურ პრობლემებს, რომელთა ნაწილობრივ გადაჭრაში მათ შეუძლიათ ერთმანეთს გაუწოდონ დახმარების ხელი. ძირითადი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების გარდა საქართველოსა და თათრეთს განზრახული აქვთ გაცვლითი ოპერაციების მეშვეობით შეავსონ მწვავე დეფიციტი. კონკრეტულად, თათრეთის რესპუბლიკას შეუძლია მოგვაწოდოს ნავთობპროდუქტები, ასევე 200 „კამაზის“ მარკის მანქანა, პოლიეთილენი, საბურავები. სამაგიეროდ, საქართველოსაგან იგი თხოულობს ჩაის, ღვინოსა და კონიაკს, ხილს, თამბაქოს ნაწარმს და სხვა პროდუქტებს, რომლებიც ჩვენს რესპუბლიკას აქვს. ითქვა იმის თაობაზეც, რომ შესაძლებელია ერთობლივად დავამზადოთ ისეთი სახის პროდუქცია, როგორიც არის, მაგალითად, მარგარინი, ამისათვის ნედლეულს საქართველოს თათრეთი მოაწვდის.

ოპერატიულად შეიქმნა სამთავრობო სამუშაო ჯგუფები შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების ხელმძღვანელთა და თათრეთის დელეგაციის შემადგენლობით. ჯგუფებმა უკვე დაიწყეს მუშაობა ორივე მხარისათვის ურთიერთხელსაყრელ წინადადებებზე, რათა უახლოეს ხანში გაფორმდეს სამთავრობო ხელშეკრულება.

სურათზე: საუბრის დროს განიხილეს გაცვლითი ოპერაციების გზები.

ბივი კიკვაძის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

სსრ კავშირის ჯარისკაცთა დედების კომიტეტს

ამ მძიმე დღეებში, ჩვენ, საქართველოს რესპუბლიკის დედებმა, გადავწყვიტეთ ვთხოვოთ საბჭოთა კავშირს ჯარისკაცთა დედების კომიტეტსა და ყველა ჯარისკაცის დედას დაგვეხმარონ, რომ სამაჩაბლოში შეწყდეს სისხლის ღვრა, რაც მკვეთრად გაძლიერდა იქ სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების მნიშვნელოვანი რაოდენობის შეყვანასთან დაკავშირებით.

ოს ექსტრემისტთა მოქმედების გამო მოიშალა ქართული და ოსური სოფლების ნაწილის ცხოვრება.

იტანჯებიან უდანაშაულო ადამიანები, ხოცავენ მოხუცებს, ბავშვებს, ქალებს, წვავენ სახლებს, არ არის მედიკამენტები, არ მოქმედებენ სკოლები, დაკეტილია ყველა მისასვლელი გზა, არ არის თვით დაზარალებულთათვის პირველი სამედიცინო დახმარების გაწევის შესაძლებლობაც.

სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების შემოყვანამ, ესე იგი ცენტრის პირდაპირმა ჩარევამ საქართველოს რესპუბლიკის საშინაო საქმეებში, კიდევ უფრო გაამწვავა ისედაც დაძაბული ვითარება სამაჩაბლოში.

ჯარისკაცები ავლენენ ანტიკონსტიტუციურ, ანტიჰუმანურ, არაადამიანურ დამოკიდებულებას ადგილობრივი მოსახლეობისადმი, ცეცხლს უშენენ სახლებს, მთელ სოფლებს, იღუპებიან უდანაშაულო ადამიანები.

ადგილობრივი მოსახლეობისადმი შეუბრალებელი და მხეცური დამოკიდებულება საპასუხო მოქმედებას იწვევს, რასაც შეიძლება მოჰყვეს ტრაგიკული შედეგები. არადა დედები ხომ ელიან თავიანთ შვილებს შინ სამსახურის შემდეგ. ესე იგი ხორციელდება ურთიერთსისხლისღვრა.

პატივცემულო ჯარისკაცის დედებო, მოგმართავთ და ველით, რომ იხმართ ყოველ ღონეს, გამოაცხადებთ პროტესტს, მოაწყობთ მიტინგებს და წამოაყენებთ მოთხოვნებს, რათა თქვენი შვილები გაიყვანონ ამ სასაკლაოდან. ქართველი და ოსი ხალხები, რომლებიც მუდამ მეგობრულად და თანხმობით ცხოვრობდნენ, თვითონ გაერკვევიან თავიანთ ურთიერთობაში გარედან ჩაურევლად. კმარა ავღანეთიდან ჩამოტანილი ათი ათასზე მეტი კუბო.

საქართველოს ჯარისკაცთა დედების ასოციაცია.

მიმართვა შინაგანი ჯარების სამხედრო მოსამსახურეებს

საყვარელო შვილებო და ძმებო!

საქართველოს რესპუბლიკის მოსახლეობა მოგმართავთ თქვენ, სსრ კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარების სამხედრო მოსამსახურეებს, თქვენდა უნებურად რომ აღმოჩნდით სამაჩაბლოს ტერიტორიაზე, გამოიჩინოთ კეთილგონიერება, ადამიანურობა, გულისხმიერება და ყურადღება ადგილობრივი მოსახლეობისადმი, არ დაუშვათ სისხლის ღვრა, ადამიანთა შეურაცხყოფა, დამცირება, ტანჯვა-წამება.

გახსოვდეთ, რომ თქვენ იმყოფებით ძველთაძველ ქართულ მიწაზე, რომელიც მორწყულია ჩვენი წინაპრების სისხლით იმპერიულ სახელმწიფოთა არმიებისა და ურდოების აურაცხელი შემოსევებისაგან თავდაცვის დროს.

სტუმართმოყვარე ქართველმა ხალხმა ოსებისათვის გაჭირვება-განსაცდელის ჟამს შეიკედლა, დააპურა, იხსნა ისინი მოსპობა-განადგურებისაგან და დიდი ხნის განმავლობაში ქართველები და ოსები მეგობრულად და ურთიერთთანხმობით ცხოვრობდნენ.

დღეს, საქართველოს სუვერენული სახელმწიფოს საშინაო საქმეებში დესტრუქციული ძალების ჩარევისა და ცენტრის მიერ მოწყობილი ეთნიკური კონფლიქტის მიზანდასახული გაღვივების შედეგად, იღვრება უდანაშაულო ადამიანთა სისხლი.

მოგმართავთ და მოგიწოდებთ გახსოვდეთ, რომ თქვენს წინაშე დგანან დედები და ბებიები, მამები და პაპები, დები და ძმები, რომლებიც თქვენგან — შვილების, შვილიშვილებისა და ძმებისაგან — მოელიან სამართლიანობასა და ადამიანურ დამოკიდებულებას.

ნუ დაუპირისპირდებით თქვენი მოქმედებით ადგილობრივ მცხოვრებთ, ნუ გამოიწვევთ მათ საპირისპირო მოქმედებისათვის, რასაც ტრაგიკული შედეგები მოჰყვება.

გახსოვდეთ, რომ შინ მიგელიან მახლობლები და ნათესავები.

საქართველოს ჯარისკაცთა დედების ასოციაცია

საქინფორმი.

ცენტრის ბოიკოტი გრძელდება

გაფიცვები, ცენტრის ბოიკოტი საქართველოში მანამდე გაგრძელდება, სანამ საბჭოთა იმპერია არ შეწყვეტს ჩვენი რესპუბლიკის საშინაო საქმეებში, კერძოდ, სამაჩაბლოში ჩარევას. ეს ერთ-ერთი მთავარი გადაწყვეტილებაა, რომელიც მიიღეს საგაფიცვო მოძრაობის კომიტეტის თათბირზე. იგი გაიმართა საქართველოს დამოუკიდებელ პროფკავშირთა კონფედერაციაში. მასში მონაწილეობდნენ საკავშირო დაქვემდებარების საწარმოთა საგაფიცვო კომიტეტების თავმჯდომარეები. თათბირმა განიხილა ერთობლივი მოქმედების კოორდინაციის საკითხები, რათა რაც შეიძლება ნაკლები ზარალი მოუვიდეს ჩვენს ეკონომიკას.

თათბირის მონაწილეებმა განაცხადეს, რომ მომავალში საგაფიცვო მოძრაობის ფორმები და მეთოდები შეიძლება შეიცვალოს რესპუბლიკაში სიტუაციის შეცვლის კვალობაზე. ჯერჯერობით კი თბილისში, ერთ-ერთ ბანკში იქმნება გაფიცულთა დახმარების ფონდი.

დღეს საქართველოს მთავრობასა და ხალხს ერთი მისწრაფება აქვთ — რეალურად აღადგინონ მისი სახელმწიფო დამოუკიდებლობა, — აღინიშნა შეხვედრის დროს.

ზურაბ ბრძოლიშვილი,
საქინფორმის კორ.

მილოცვები

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს, ბატონ ზვიად გამსახურდიას

სრულიად საქართველოს მიწათმოქმედთა კავშირი გილოცავთ რესპუბლიკის პრეზიდენტად არჩევას.

გისურვებთ წარმატებებს საქართველოს და ქართველი ერის საკეთილდღეოდ.

ღმერთი იყოს თქვენი მფარველი.

სრულიად საქართველოს მიწათმოქმედთა კავშირი.

საქართველოს მწვანეთა განცხადება

საქართველოს მწვანეთა პარტია და მოძრაობა ულოცავს სრულიად საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის მიღებას. 31 მარტის რეფერენდუმმა ცხადყო, რომ საქართველოს სრული დამოუკიდებლობის აღდგენა არის არა მხოლოდ ქართველი ერის, არამედ საქართველოში მოსახლე ყველა ხალხის ნება.

ჩვენ განსაკუთრებით გვახარებს, რომ მიუხედავად მოსკოვის გამალებული პროპაგანდისა, ამ უმნიშვნელოვანეს მომენტში გაერთიანდა საქრთველოს მთელი მოსახლეობა; ჩვენს ქვეყანაში მოსახლე ყველა ხალხის წარმომადგენელმა გაიცნობიერა, რომ დამოუკიდებლობის აღდგენა მათ სასიცოცხლო ინტერესსაც წარმოადგენს. ამის გასამტკიცებლად მეტად მნიშვნელოვანი იქნება უახლოეს მომავალში ეროვნულ უმცირესობათა უფლებების შესახებ კანონის მიღება.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი დღეის შემდეგ რეალური ცხოვრებისეული შინაარსით უნდა აღივსოს. თუ ვერ გავწიეთ ის უზარმაზარი ტვირთი, რაც ამ აქტის გამოქვეყნებით თითოეულს დაგვაწვა. ის მხოლოდ დეკლარაციად დარჩება. ამიტომ დღეს ყველას განსაკუთრებული შემართება, შეთანხმებული და ეფექტიანი მოქმედება მოგვეთხოვება.

მხოლოდ ერთიანი ძალით, არადათიშულნი და არადაპირისპირებულნი, შევძლებთ დამოუკიდებელი და დემოკრატიული საქართველოს აშენებას.

საქართველოს მწვანეთა ცენტრალური საბჭო.

პოლიტიკურ ბლოკ „თავისუფლებისაგან“

პოლიტიკური ბლოკი „თავისუფლება“ უსურვებს ქართველ ერს, რომ 1991 წლის 9 აპრილი გამხდარიყოს მისთვის ახალი და საბოლოო 26 მაისი.

ფირმა „ბენეფისმა“ იაპონიიდან მიიღო შემდეგი შინაარსის ტელექსი

გთხოვთ გადასცეთ ეს მილოცვა ჩვენს მეგობრებს საქართველოში. ჩვენ, ყველას გვსურს ალტაცებით მოგესალმოთ იაპონიიდან, „იამასიროგუმი“ გულითადად უმღერის „ქართველო ხელი ხმალს იკარ“ და „მრავალჟამიერს“ ჩვენს ძვირფას მეგობრებს საქართველოში.

გულითადად **იამასირო**

ბატონ ზვიად გამსახურდიას

ბატონო ზვიად! მიიღეთ ჩვენი გულითადი მილოცვა საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტად არჩევასთან დაკავშირებით.

თქვენს სახელს ჩვენ ვუკავშირებთ ჩვენი მამულის წყვდიადიდან გამოხსნას. ჩვენ გვჯერა, რომ თქვენის წყალობით კიდევ უფრო გასხივოსნდება საქართველოს ცა.

ღმერთი იყოს თქვენი მფარველი!

თბილისის მერაბ კოსტავას სახელობის ლიტერატურულ-მუსიკალური ეროვნული თეატრის კოლექტივის სახელით
ზინაიდა კვერენჩხილაძე,
ზურაბ ნინუა

ბატონ ზვიად გამსახურდიას, საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს

მოგესალმებით და მხურვალედ მოგილოცავთ მშობლიური ერის მიერ კიდევ ერთხელ აღიარებას.

ეროვნული, დამოუკიდებელი, ექსპერიმენტული კინოსტუდია „+1“.

თქვენო აღმატებულებავ, ბატონო პრეზიდენტო

ბატონო ზვიად, ქართველი კათოლიკენი ძალზე გაგვახარა საქართველოს პრეზიდენტად თქვენმა არჩევამ.

ჩვენს ღვთით კურთხეულ მიწა-წყალზე მრავალწლიანი წყვდიადის შემდეგ ეროვნული პარლამენტის სახით სინათლის გამობრწყინება ვიხილეთ და მის სიმბოლოდ სწორედ თქვენს პიროვნებას აღვიქვამთ.

ჩვენ ისიც გვესმის, რაოდენ დიდი ტვირთი იკისრეთ ამ უმაღლესი პოსტის ჩაბარებით, მით უმეტეს საქართველოსათვის ასეთი ძნელბედობის ჟამს. მაგრამ გვწამს, რომ ღმერთი მოგმადლებთ ნიჭსა და ძალას იმპერიულ გენიასთან ბრძოლაში. ქართველი კათოლიკენი, სხვა მორწმუნეებთან ერთად, მუხლმოდრეკილნი ვილოცებთ თქვენი, ჩვენი საქმის წარმატებისათვის.

ღმერთმა დაგლოცოთ თქვენ და თქვენი ერთგულნი, ჩვენც გვიგულეთ საქართველოს თავისუფლებისთვის მებრძოლი ქართული ლაშქრის ერთ მცირე ნაწილად.

ულრმესი პატივისცემით ქართველ კათოლიკეთა საკრებულო.

ვულოცავთ!

საქართველოს ჟურნალისტთა დამოუკიდებელი კავშირის სამდივნო რესპუბლიკის ჟურნალისტთა სახელით სულითა და გულით ვულოცავთ ბატონ ზვიად გამსახურდიას საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტად არჩევას და ვუსურვებთ ჩვეულებისამებრ ეშრომოს საქართველოს საკეთილდღეოდ.

საქართველოს ჟურნალისტთა დამოუკიდებელი კავშირის სამდივნო.

შიდა ქართლი

დამოუკიდებელი საქართველო შეგიმშრალებთ ცრემლებს...

შიდა ქართლიდან, მშობლიური ქართული მიწის მკვიდრ ქართველებს დღეს აწიოკებენ და ერეკებიან არა თურქთა, სპარსთა, მონღოლთა ურდოები, არამედ რუსეთის იმპერიის ეგრეთ წოდებული საბჭოთა ჯარისკაცთა მხარდაჭერით და თანადგომით გამხნევებული ოსი ექსტრემისტები.

ამ დღეებში, როდესაც საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტს იურიდიული კანონიერების სტატუსი მიანიჭა, კრემლის დიქტატორთა საწინააღმდეგო რეაქციამ ყოველგვარი ზღვარი გადალახა. სამაჩაბლოში შემოგზავნილმა შინაგანი ჯარის საგანგებო ნაწილის საბჭოთა ჯარისკაცებმა ვანდალური აქციები განახორციელეს: ააწიოკეს ქართული მოსახლეობა, გადაწვეს წმინდა გიორგის და წმინდა სამების ეკლესიები ქარელის რაიონის სოფელ დვანში.

საბჭოთა იმპერიის ერთგული ჯარისკაცებისაგან და ოსი ტერორისტებისაგან აწიოკებული ქართული მოსახლეობა სტოვებს მშობლიურ სახლ-კარს, ენერგიულად ხორციელდება სხვისი მიწების მითვისების ლენინური პოლიტიკა.

— სამაჩაბლოდან ლტოლვილთა რიცხვმა მარტო გორის რაიონში შვიდი ათასამდე მიაღწია, — ამბობს გორის პრეფექტთან არსებული სამაჩაბლოდან ლტოლვილთა თანადგომის შტაბის ხელმძღვანელი, წმინდა ილია მართლის საზოგადოების გორის ორგანიზაციის გამგეობის წევრი ვანო უზნაძე,— ლტოლვილებს დავუთმეთ სასტუმრო „ქართლი“, პროფსასწავლებლების საერთო საცხოვრებელი, ატენის სკოლა-ინტერნატი, ტურისტული ავტოკემპინგი, საკუთარი ბინებიც. მათ დასახმარებლად ბინსოცბანკის გორის განყოფილებაში გავხსენით სპეციალური ანგარიში № 700044. ცალკეულმა მოქალაქეებმა, ორგანიზაციებმა გულთან მიიტანეს თანამემამულეთა გასაჭირი და აღნიშნულ ანგარიშზე უკვე შემოტანილია 400 ათას მანეთამდე თანხა. ლტოლვილები შეიფარეს ხაშურის, ქარელის, ბორჯომის რაიონებმაც და ვცდილობთ საკუთარი ძალებით მოვაგვაროთ საწოლების; გაზქურების უკმარისობის პრობლემა. მაგრამ გულწრფელად უნდა ვაღიაროთ, რომ ლტოლვილთა რიცხვი იზრდება და გაგვიჭირდება ყველას მიღება.

ჩვენს მოწოდებას აქტიურად გამოეხმაურნენ და ლტოლვილებს დახმარების ხელი გაუწოდეს საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან — აფხაზეთიდან, კახეთიდან, სამეგრელოდან... ვიმედოვნებთ დახმარება მომავალშიც გაგრძელდება.

— შემაძრწუნებელია ფაქტი, როცა საკუთარ სამშობლოში ლტოლვილი ქართული მოსწავლეები გვყავს. შეუძლებელია არ განიცადო მათი ტკივილი, ვცდილობთ შევუმშრალოთ ცრემლი, გავათბოთ მზრუნველობით, — —გვეუბნება გორის № 8 საშუალო სკოლის ინგლისური ენის მასწავლებელი ლია ტაბატაძე.

— საკუთარი შრომით შექმნილი სახლ-კარი დაგვატოვებინეს, აგვაწიოკეს, ხიზნებად გვაქციეს. სწორედ დღევანდელ ჩვენს ყოფას ესადაგება სულმნათი რუსთაველის ბრძნული სიტყვები: „მოყვარეს მტერი ყოვლისა მტერთაგან უფრო მტერია“, — თვალცრემლიანი ამბობს სამაჩაბლოდან გამოქცეული ათი შვილის დედა ნუნუ ჯოჯიშვილი. მასავით იცრემლებიან მრავალშვილიანი დედები გულნარა ნიკორაშვილი, გრუნია ოდიკაძე, ორი მცირეწლოვანი ბიჭის ახალგაზრდა დედა, ლია კახნიაშვილი, სხვა მრავალნი.

ძალზე ძნელია, მაგრამ მაინც ვცდილობ ვანუგეშო თვალცრემლიანი დედები. შევახსენო მათ, რომ საქართველოს დაპყრობის სურვილი ყოველთვის ჰქონდათ ჩვენს მტრებს, მაგრამ ქართველი კაცი მონურად ქედს არავის უხრიდა. არავის ნებდებოდა, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოდა სამშობლოს თავისუფლებისათვის. ჩავუნერგო რწმენა, რომ დამოუკიდებელი, თავისუფალი საქართველო ყველაფერს იღონებს მშობლიურ კერაში მათ დასაბრუნებლად და შეუმშრალებს ცრემლს...

რობერტ ცუცქირიძე,
საქინფორმის კორესპონდენტი.

ვითარება სამაჩაბლოში

სულ უფრო გამომწვევი და თავხედური ხდება სსრ კავშირის შინაგანი ჯარის აშკარა მხარდაჭერით გათამამებული ოსი სეპარატისტებისა და ექსტრემისტების მოქმედება სამაჩაბლოში, კერძოდ, ცხინვალში. ყოფილი საოლქო საბჭოს აღმასკომის შენობის თავზე მათ აღმართეს რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო დროშა. ქალაქში ღამით თავისუფლად დათარეშობენ შეიარაღებული ბანდები, რომლებიც ძარცვავენ ქართველების ბინებს. 16 აპრილს ღამით მათ დაწვეს ლილი ცხვირავაშვილის სახლი. ბანდიტებს დღისით-მზისით ყველას თვალწინ ეზოებიდან გაჰყავთ ავტომანქანები ან იქვე ნაწილებად შლიან და მიაქვთ.

16 აპრილს ოსმა ბანდიტებმა ცხინვალის რაიონის სოფელ გუჯაბაურში მოკლეს სამი შვილის მამა კოლმეურნე ვალიკო ჰამპერიძე.

როგორც ვიუწყებოდით, 15 აპრილს ოსმა ექსტრემისტებმა მძევლად აიყვანეს ორი თამარაშენელი — სატყეო მეურნეობის დირექტორი ბიკენტი დათაშვილი და თბილისის მილიციის უმაღლესი სკოლის კურსანტი დათო ყაულაშვილი. ექსტრემისტებმა გვიან ღამით დააბრუნეს დ. ყაულაშვილი, რომელიც სასტიკად არის ნაცემი, დაზიანებული აქვს სახე და ფილტვები. იგი მოათავსეს გორის რაიონის საავადმყოფოში. მძევლად აყვანილი დათაშვილის ბედი ჯერჯერობით უცნობია.

შინაგანი ჯარის ნაწილებს კვლავ დაკავებული ჰყავთ ქართველი ეროვნების 21 მოქალაქე, მათ შორის მილიციის ორი თანამშრომელი.

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრი,
საქინფორმი.

ლაპარაკობს პრეფექტი

მთა რომ მთიელით ხარობდეს

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ბრძანებულებით, ყაზბეგის რაიონის პრეფექტად დაინიშნა მირიან წიკლაური, მკითხველს ვთავაზობთ ჟურნალისტ ანზორ ხულიაურის ინტერვიუს მოხევეების თავკაცთან.

— ბატონო მირიან, 1991 წლის 9 აპრილს, ხალხის ნებით არჩეულმა საქართველოს უზენაესმა საბჭომ, ქართული ეროვნული მოძრაობის პატრიარქის ბ-ნ ზვიად გამსახურდიას ხელმძღვანელობით მიიღო საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი. ამ დიდმნიშვნელოვან დოკუმენტზე თქვენი, როგორც ეროვნული პარლამენტის წევრის ხელმოწერაც არის. გილოცავთ ამ დღეს, გილოცავთ საქართველოს სახელმწიფოებრივი აღდგენის დიად დღესასწაულს.

— გმადლობთ, მეც ასევე გილოცავთ. საქართველოს სახელმწიფოებრივი აღდგენის დღე სიმბოლურად დაემთხვა 9 აპრილის ტრაგედიის 2 წლისთავს და ეს ალბათ გამართლებულიცაა, რადგან 9 აპრილი იყო არამარტო ქართველი ხალხის ტრაგედია, არამედ ეს იყო დღე ქართველი ერის გამოღვიძებისა, ეს იყო დღე ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გრანდიოზული აღმავლობის დასაბამისა. 1991 წლის 9 აპრილი მთელი ქართველი ხალხის და საქართველოში მცხოვრები ხალხების დიდი დღესასწაულია. მე ვსარგებლობ შემთხვევით და საქართველოში მცხოვრებ ყველა ხალხს ვულოცავ ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ამ უდიდეს გამარჯვებას და როგორც ბატონი ზვიად გამსახურდია ბრძანებდა, ახლა საჭიროა სიმშვიდე. საჭიროა გონიერება, საჭიროა შრომა, რათა მტკიცედ და ურყევად გავიაროთ რთული გზა საქართველოს ფაქტობრივი დამოუკიდებლობისაკენ.

— ხელისუფლების სათავეში მოსვლით საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. თქვენ საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს წევრი და ყაზბეგის რაიონის პრეფექტი ბრძანდებით. პასუხისმგებლობის იურიდიულად დაკისრების შემდეგ, ალბათ უფრო ღრმად ჩაწვდით ყაზბეგის რაიონის პრობლემებს.

— რა თქმა უნდა. არც კი მოველოდით, თუ ასეთი მძიმე სამუშაოს წინაშე აღმოვჩნდებოდით. პრობლემები იმდენია, რომ მის გადაჭრას წლები და თანაც დაძაბული წლები დასჭირდება. ძირითადი პრობლემა კი ალბათ უფრო ზნეობრივი პრობლემაა. თუ არ მოგვარდა ჩვენი ცხოვრების ეს მხარე, რომელიც ჩვენდა სამწუხაროდ და სამარცხვინოდ შელახა არსებულმა საბჭოურმა სტრუქტურამ, რაიონის შემდგომი განვითარების რაიმე პერსპექტივაზე ლაპარაკიც კი შეუძლებელი იქნება, და ეს ალბათ მეტნაკლებად საქართველოს ყველა რეგიონს ეხება. იგივე ითქმის ეკონომიკაზეც, საბჭოური სტრუქტურების დემონტაჟის გარეშე შეუძლებელი გახდება ყოველდღიურობის ჭაობიდან თავის დაღწევა, ბევრი პრობლემაა სოფლის მეურნეობაში, მოსახლეობის საყოფაცხოვრებო და ტრანსპორტით მომსახურების სფეროში. ყაზბეგის რაიონი მწვავედ განიცდის სოფლად სასმელი წყლის დეფიციტს. თითქმის არც ერთი სოფელი არ არის სასმელი წყლით ნორმალურად უზრუნველყოფილი. უდიდესი პრობლემაა მოსახლეობის და განსაკუთრებით ახალგაზრდობის ადგილზე დამაგრება. იცლება მთა და ამიტომ ჩვენ უნდა შევძლოთ ადამიანთა დაინტერესება, უნდა შევუქმნათ მათ ცხოვრების ადამიანური პირობები. მთა უნდა მთიელით სუნთქავდეს და ხარობდეს.

— კომუნისტ ხელისუფალთა მიერ მთიელთა ბარში ჩასახლების იძულებითი პროცესი, ცხოვრების პირობების გაუარესების გამო შემდგომში თვითდინებად გახდა, რასაც, როგორც თქვენ ბრძანებთ, ახლა ასე მტკივნეულად განიცდის მთა. პარტოკრატიისა და საბჭოური ტიპის ბიუროკრატიული აპარატების თვითნებობის გამო შოკირებულ მოსახლეობას დაკარგული ჰქონდა უკეთესი მერმისის რწმენა. ახლა მმართველობის სულ სხვა სტრუქტურები ყალიბდება. პრეფექტის ინსტიტუტის შემოღებას როგორ შეხვდა მოსახლეობა ყაზბეგის რაიონში?

— თავისუფლების წყურვილი ქართველ ხალხს გენში აქვს და მისი მოსპობა შეუძლებელია. 70 წლის მანძილზე პირველად მოგვეცა თავისუფალი, მრავალპარტიული არჩევნების ჩატარების საშუალება და ამიტომ ხალხს სწორედ მის მიერ თავისუფლად არჩეული ეროვნული ხელისუფლების სჯერა, მაგრამ მაინც მმართველობის ახალი სისტემების შემოღებას მოსახლეობის ერთგვაროვანი რეაქცია არ მოჰყოლია, იყო დიდი იმედი და აღტაცება, იგრძნობოდა თავშეკავებაც, ალბათ ეჭვიც. საერთოდ კი ვფიქრობ, რომ რწმენის დეფიციტის შევსება საქართველოს რაიონების პირველ პრეფექტებზე მნიშვნელოვნად იქნება დამოკიდებული. გააჩნია, რამდენად გავამართლებთ ხალხის და ეროვნული პარლამენტის ნდობას.

— ყაზბეგში ეროვნული მოძრაობის პირველი ძარღვი „თემის საბჭოს“ შექმნა იყო, რომლის ჩამოყალიბების ერთ-ერთი ინიციატორი და ხელმძღვანელი თქვენ იყავით. ყაზბეგის რაიონში პრეფექტის დანიშვნა ხომ არ შეწყვეტს „თემის საბჭოს“ არსებობას, ან რა ფუნქცია დაეკისრება მას მომავალში?

— „თემის საბჭო“ არის ეროვნულ ძალთა საკრებულო და მისი ფუნქციონირება აუცილებელია. „თემის საბჭო“ ეროვნული პარლამენტის მხარდამჭერი ორგანიზაციაა და მან ყოველ კონკრეტულ სიტუაციაში, ჩემის აზრით, ყაზბეგის რაიონის და ერის ინტერესებიდან გამომდინარე კონკრეტული დავალება უნდა შეასრულოს. იმისდა მიხედვით, თუ როგორი იქნება რაიონის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობა. თუ გუშინ „თემის საბჭოს“ უნდა უზრუნველეყო პარლამენტის არჩევნების მაღალ დონეზე ჩატარება და გამარჯვება მოეპოვებინა ამ არჩევნებში, დღეს რაიონი ეკონომიკური პრობლემების წინაშე დგება და „თემის საბჭომ“ მოსახლეობასთან, პრეფექტურასთან, საკრებულოებთან ერთად უნდა ეძებოს მისი გადაჭრის გზები. ყაზბეგის რაიონი საქართველოს სასაზღვრო ზოლში მდებარეობს და ვიდრე ჩვენთან არ ჩამოყალიბებულა ეროვნული გვარდიის რაიმე შენაერთი, „თემის საბჭო“ მილიციის რაიონული განყოფილების მუშაკებთან ერთად ცდილობს სტაბილური მდგომარეობის განმტკიცებას, საერთოდ კი უნდა ითქვას, რომ ჩვენი რაიონი ამ მხრივ სიმშვიდით გამოირჩევა. დაწესებული გვაქვს პატრულირება საქართველოს სამხედრო გზაზე, ავტოინსპექციის საგუშაგოებზე, მათ მიერ სხვადასხვა პირთაგან ამოღებულია უნებართვო ცივი და ცეცხლსასროლი იარაღი, ამოღებული იყო სი-ეს-ის საქართველოში შემოსატანად გამზადებული ბალონები და სხვა.

გარდა ამისა, „თემის საბჭოს“ ყოველთვის ჰქონდა დაკისრებული საქველმოქმედო ფუნქცია. ამ მიმართულებით იგი კვლავაც გააქტიურებს თავის საქმიანობას იმისდა მიხედვით, თუ ახალ ეკონომიკურ ურთიერთობებზე გადასვლასთან დაკავშირებით რამდენად შესძლებს საკუთარი ფინანსური ბიუჯეტის გაძლიერებას. მრავალშვილიანი და ხელმოკლე ოჯახების, ობლების დახმარების გარდა, დიდი სურვილი გვაქვს დავაწესოთ სტიპენდიები რაიონიდან სასწავლებლად წარგზავნილი წარჩინებული სტუდენტებისათვის.

— მთიანი რეგიონი განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებშიც კი სახელმწიფო დოტაციაზეა, მაგრამ იქ მთა, რეგიონისათვის შესაფერისი სწორი ეკონომიკური დაგეგმარების წყალობით პროდუქციის მაქსიმალურ რაოდენობას იძლევა. თქვენი აზრით, რას უნდა დაეფუძნოს ყაზბეგის რაიონის ეკონომიკური სიძლიერე?

— განზრახული გვაქვს საქართველოს რესპუბლიკის ხელმძღვანელობასთან, ეკონომიკური მართვის ინსტიტუტებთან შეთანხმებით და მათი თანადგომით, კერძოდ ყაზბეგის რაიონისათვის შევქმნათ საბაზრო, სააქციო ურთიერთობებში მოქმედი მართვის ეკონომიკური მექანიზმი. ამაში აუცილებლად უნდა აისახოს ეკონომიკის მართვის მთიანი რეგიონისათვის დამახასიათებელი ტრადიციული ატრიბუტები. ყაზბეგის რაიონში მოიპოვება უძვირფასესი მოსაპირკეთებელი ქვა, რომლის ბადალი მსოფლიოში ძალზედ იშვიათია, მაგრამ ვფიქრობ, რაიონის ეკონომიკის მასზე დაფუძნება არასწორი იქნებოდა, რადგან ქვა ისეთი სიმდიდრეა, რომელიც თვითწარმოებადი არ არის, აღდგენითი არ არის, ამიტომ მას ძალიან უნდა მოვუფრთხილდეთ, მაგრამ ქვის დიაბაზის ნაწილის დამუშავებით და სავალუტო ბაზარზე გატანით ვფიქრობთ გავაუმჯობესოთ რაიონის ინფრასტრუქტურა, რაც ასე აუცილებელია ეკონომიკის განვითარებისათვის. ჩვენთან უხვად მოიპოვება და ფუჭად იკარგება მინერალური და ეკოლოგიურად სუფთა წყალი, რომელზეც ასევე დიდი მოთხოვნილებაა ევროპის ბაზარზე.

ყაზბეგის რაიონი ამჟამად მომხმარებელს მხოლოდ ნედლეულის სახით აწვდის პროდუქციას. ჩვენ უნდა აღმოვფხვრათ პარტნიორთან ეკონომიკური ურთიერთობის ეს მახინჯი ფორმა. უნდა დავნერგოთ ეკოლოგიურად სუფთა მცირე გადამამუშავებელი საწარმოები. თავად წარმოიდგინეთ, მარტო მსხვილფეხის დუშეთის რაიონის სასაკლაოზე გადარეკვით, სულზე 4-5 კილოგრამ ხორცს ვკარგავთ, რატომ არ უნდა ჰქონდეს ყაზბეგის რაიონს ხორცისა და მატყლის გადამამუშავებელი საწარმოები, სართავი საამქრო, რატომ უნდა იღვრებოდეს ფუჭად სიმკურნალო და მინერალური წყლები... ყოველივე ეს დიდ პრობლემებთანაა დაკავშირებული და მას უახლესი ტექნიკა, მანქანა-დანადგარები სჭირდება, რომელთა შემოზიდვასაც სწორედ ბუნებრივი სიმდიდრის ნაწილის სავალუტო ბაზარზე გატანით ვაპირებთ.

ჩვენთან დიდებული შესაძლებლობებია მეფუტკრეობის განვითარებისათვის. ძირითადად კი ყაზბეგის რაიონის ეკონომიკური სიძლიერე ტრადიციულ მეცხოველეობას: მესაქონლეობისა და მეცხვარეობის განვითარებას უნდა დაეფუძნოს. უნდა მოხდეს მოსახლეობისა და სახელმწიფოს ინტერესების შეჯერება. ორმხრივი, მომგებიანი, ნდობაზე დამყარებული ურთიერთობა.

— ჩვენს ცხვარს ზამთრის საძოვრებისკენ მიმავალი გზა ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე უძევს. საქართველოს რესპუბლიკის ხელმძღვანელობა ყოველმხრივ ცდილობს ისტორიული სიმართლის გზით მშვიდობა დაამყაროს სამაჩაბლოში და სეპარატიზმის საშიში შედეგებისგან იხსნას ქართველთა და ოსთა ურთიერთობა, მაგრამ როგორც ჩანს სეპარატიზმის მაცდურმა ჭიამ ოსეთის ავტონომიური რესპუბლიკის ხელისუფლებაშიც შეაღწია. მეზობლური ურთიერთობის გაუარესების შემთხვევაში ხომ არ გაძნელდება დღეს არსებული ცხვრის გადასარეკი ტრასით სარგებლობა?

— ვშიშობ რომ გაძნელდება. სხვათაშორის გაისმა მუქარის ხმებიც ამის თაობაზე, მაგრამ ამ მდგომარეობიდან გამოსასვლელად არსებობს რამდენიმე ვარიანტი: შეიძლება შემოვლითი გზების ძებნა უშუალოდ ქისტებით დასახლებულ ტერიტორიებზე, ან ცხვრის მანქანებით და სპეციალური დაცვით გადაყვანა. რკინიგზითაც შესაძლებელია ცხვრის გადარეკვა.

— ქისტებით დასახლებული ადგილები, რომელსაც თქვენ გულისხმობთ, ტერიტორიულად მაინც ოსეთის ასსრ-ს ექვემდებარება. სპეციალური დაცვით ცხვრის გადმორეკვა შეიძლება პროვოკაციის შესანიშნავი საშუალება გახდეს ბნელი და იმპერიული ძალებისათვის. მატარებლით ცხვრის ტრანსპორტირება კი მნიშვნელოვნად გაზრდიდა პროდუქციის თვითღირებულებას. ამ საკითხებზე ასე დაჟინებით იმიტომ გეკითხებით, რომ ანალოგიური პრობლემის წინაშე დგას საქართველოს ხუთი რაიონი, რომელთა ცხვარიც უიზლარის ზამთრის საძოვრებიდან მალე მშობლიური იალაღებისკენ უნდა დაიძრას. გიფიქრიათ თუ არა ნოღაეთიდან მატილისაკენ გადმომავალ ძველ გზაზე. მისი შეკეთება შემდგომშიც დიდ დახმარებას გაუწევდა ქართველ მეცხვარეებს. ამას გარდა საზაფხულო იალაღებისკენ ეს ერთადერთი უმოკლესი გზაა.

— სიმართლე გითხრათ, ასეთი საკითხების დეტალურად წინ წამოწევას, მეცხვარეობის ხუთი რაიონის ხელმძღვანელობისა და სპეციალისტების შეხვედრაზე ვფიქრობთ. ამ შეხვედრის მოწყობა სასწრაფო და აუცილებელია, რათა შევიმუშავოთ საერთო პოზიცია და ჩვენი წინადადება დროულად წარვუდგინოთ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას.

— ბატონო მირიან, რადგან სიტყვა ოსეთზე და ოსებზე ჩამოვარდა, მაინტერესებს სამაჩაბლოს კონფლიქტის მიმართ თქვენს რაიონში მცხოვრები ოსი მოსახლეობის პოზიცია. ისტორიულად ხომ საქართველოს ტერიტორიაზე პირველი ხიზანი ოსები სამაჩაბლოზე უწინ სწორედ ყაზბეგის რაიონის ტერიტორიაზე დამკვიდრდნენ.

— აი ჩვენი რაიონის მკვიდრის მარიამ ალბოროვას მიმართვის ტექსტი ოსი ექსტრემისტებისადმი, რომელიც რაიონულ გაზეთ „დარიალში“ დაიბეჭდა: „... თუ არ დავიშლით თანამოძმეთა შხამვას მოსკოვისა და კრემლის მესვეურთა ჩაგონებით, ბოლოს და ბოლოს მორიელივით მოგვეშორებს და ამოგვირეცხს გულიდან ეს მადლიანი ქართველი ხალხიც...“. ყველა პატიოსანი ოსი აღშფოთებულია ექსტრემისტების მიერ სამაჩაბლოსთვის თავსდატეხილი ტრაგედიით.

— ბატონო მირიან, საყოველთაო ძნელბედობის ჟამს ოსი სეპარატისტების მიერ საქართველოს ზურგში ღალატით აღმართული მახვილით შეილახა კავკასიის მთიელ ხალხთა ურთიერთთანადგომის ტრადიცია. როგორ აღიქვამენ ოსთა მოქმედებას კავკასიის „საერთო სახლის“ ბინადარნი, ამას იმიტომ გეკითხებით, რომ ამასწინათ გაზეთ „შამილში“ გამოკრთა ინფორმაცია იმის შესახებ, თითქოს ჩრდილოეთ კავკასიაში შექმნილია შეიარაღებული ბანდები, რომელნიც კრემლის ნიშანზე მზად არიან საქართველოში შემოსაჭრელად.

— მე ეს ძნელადსარწმუნო ფაქტად მეჩვენება. ყოველ შემთხვევაში ასეთი ბანდები ვერ შეიქმნება დაღესტანში, რომელთანაც ჩვენ კარგი ურთიერთობა გვაქვს. განსაკუთრებით კარგად ვართ განწყობილი ჩეჩენ და ინგუშ ხალხთან. ამის ნათელი დადასტურება გახლდათ ბატონ ზვიად გამსახურდიას მიმართვა თავისუფლებისმოყვარე კავკასიის ხალხებისადმი. საქართველოს მთიანეთთან ერთად სწორედ ისინი წარმოადგენენ კავკასიის ხერხემალის სიძლიერეს. ამ ხალხთან ჩვენი ურთიერთობა ყოველთვის ნაღდი იყო. ძნელბედობამ კი, თქვენი თქმისა არ იყოს, უფრო დაგვაახლოვა ერთმანეთს. კავკასიის დაპყრობილი ხალხები მიხვდნენ „ძიძის“ მზაკვრულ მუხანათობას. მის ცდებს ურთიერთს წაჰკიდოს თავისუფლებისმოყვარე ხალხები. მჯერა მოვა დრო და საქართველოს ღალატისათვის კავკასიის ხალხები და თვით ოსი ერის ჯანსაღი ნაწილი მკაცრად მოსთხოვს ოს სეპარატისტებს.

— ზამთრის დიდთოვლობისას ხშირად იკეტება ჯვრის უღელტეხილი, რაც ართულებს მოსახლეობის მიმოსვლას და დიდ სიძნელეებს უქმნის რაიონის ეკონომიკურ განვითარებას. დღის წესრიგში დადგა საქართველოს სამხედრო გზის მლეთა-კობის მონაკვეთზე სამანქანე გვირაბის გაყვანის საკითხი. რამდენად რეალურია ამჟამად მისი განხორციელება?

— უკვე რეალურია და მას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს ჩვენი რაიონისათვის. გამოყოფილია მილიონნახევარი მანეთი მოსამზადებელი სამუშაოებისათვის. პროექტირებაც დაწყებულია. სამუშაოები მიმდინარეობს პარალელურად, რათა დაჩქარდეს და დროულად მომზადდეს ყველა წინაპირობა სამუშაოების დროულად დაწყებისათვის. მანამდე კი ტრანსპორტის მოძრაობის შეფერხების თავიდან ასაცილებლად ჯვრის უღელტეხილზე დამატებით აშენდება ღია აივნები. რთული გეოგრაფიული და კლიმატური პირობების გამო უღელტეხილის მთელი მონაკვეთი განსაკუთრებულ ყურადღებას საჭიროებს, მისი მოვლა-შენახვის ხარჯებიც საგრძნობლად დიდია. ამ გზით სარგებლობენ რესპუბლიკის გარეთ მიმავალი სატრანზიტო მანქანებიც. ვაპირებთ წინადადებით შევიდეთ საქართველოს მთავრობაში, რათა ჯვრის უღელტეხილზე დარიალის კარიბჭემდის დაწესებული იქნეს საბაჟო გადასახადი. ეს თანხა სავსებით უზრუნველყოფს გზის მოვლა-პატრონობისათვის საჭირო აუცილებელ სახსრებს და მნიშვნელოვნად წაადგება ჯვრის უღელტეხილზე სამანქანე გვირაბის გაყვანის იდეის დაჩქარებას.

— ბატონო მირიან, თქვენ ექიმი ბრძანდებით და საკმაოდ კარგი სპეციალისტიც. სოკრატეს ფიცი?

— დიახ, მე ექიმი ვარ და არც არასოდეს მავიწყდება ჩემი უპირველესი მოვალეობა. მაგრამ ამჟამად ვდგავარ იქ, სადაც ვჭირდები საქართველოს. ამ სიტყვებში მე ეროვნულ მოძრაობას ვგულისხმობ და არა ჩემს თანამდებობრივ მდგომარეობას, მაგრამ როცა კი ჩემი მცირე საექიმო გამოცდილება ავადმყოფისათვის საჭირო გახდება, თავს ყოველთვის ბედნიერად ჩავთვლი.

— გისურვებთ წარმატებებს.

— გმადლობთ.

მთავრობის მოამბე

შეიქმნა ევროპის ქვეყნებთან ურთიერთობის შემსწავლელი ასოციაცია

საქართველოს მთავრობამ რეგისტრაციაში გაატარა ევროპის ქვეყნებთან საქართველოს ურთიერთობის შემსწავლელი ასოციაციის წესდება.

ასოციაცია, რომელიც დამოუკიდებელი, საზოგადოებრივ საწყისებზე შექმნილი ორგანიზაციაა, აერთიანებს საქართველოს ისტორიკოსებს, ლიტერატორებს, ეკონომისტებს, აგრეთვე ევროპული ენების ფაკულტეტებისა და კათედრების, სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლებს, რომლებიც დაინტერესებული არიან, ან მუშაობენ საქართველოს ისტორიულ, კულტურულ, ლიტერატურულ, ეკონომიკურ და სხვა ურთიერთობებზე ევროპის ქვეყნებთან უძველესი დროიდან დღემდე.

ასოციაცია მიზნად ისახავს იზრუნოს ევროპის ქვეყნებთან საქართველოს ურთიერთობის შესახებ საზღვარგარეთის ქვეყნებში არსებული დოკუმენტებისა და მასალების შეგროვებისათვის, მათი პირების გადაღებისა და საქართველოში ჩამოტანისათვის; ხელი შეუწყოს ამ მიზნით ქართველ და უცხოელ მოქალაქეთა ურთიერთობის გაფართოებას ორივე მხარის სასარგებლოდ ენის, ეროვნების, რასის, რელიგიისა და პოლიტიკურ შეხედულებათა მიუხედავად; საქართველოს დაახლოებას ევროპის ქვეყნებთან და ა. შ.

თავისი მიზნების მისაღწევად ასოციაცია აწყობს უცხოურ ენებზე არსებული და უკვე მოპოვებული დოკუმენტებისა და მასალების ქართულად თარგმნას და კომენტირებას, ასევე უცხოეთისათვის საინტერესო ქართული დოკუმენტებისა და მასალების გამოქვეყნებას უცხოურ ენებზე ან ორენოვანი წიგნების გამოცემას, ეწევა სამეცნიერო, მთარგმნელობით და საგამომცემლო საქმიანობას როგორც საქართველოში, ისე უცხოეთში.

ასოციაციის სამუშაო ენებია ქართული, რუსული, ფრანგული, იტალიური, ესპანური, ინგლისური, გერმანული. მისი ადგილსამყოფელია თბილისი.

გაფიცვა

გაირინდნენ ამწეები ნავსადგურში...

როგორც ცნობილია, მრავალი მაგიდის პოლიტიკურმა ორგანიზაციებმა გამოაცხადეს საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებისა და სატრანსპორტო საშუალებათა გაფიცვები, რომელთა მიზანია ცენტრალური იმპერიული ხელისუფლების გაუქმება და სუვერენული დემოკრატიული სახელმწიფოების ჩამოყალიბების პროცესისთვის ხელშეწყობა.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულებით, სამინისტროებს, უწყებებს, ადმინისტრაციულ ორგანოებს წინადადება მიეცათ ყოველმხრივ შეუწყონ ხელი საყოველთაო ეროვნულ და სამოქალაქო დაუმორჩილებლობას.

საქინფორმის ფოტოკორესპონდენტები ეწვივნენ ფოთის ნავსადგურს, რესპუბლიკის სატრანსპორტო არტერიების საწარმოებს, დედაქალაქის მოედნებსა და ქუჩებს. ყველგან მხურვალედ უჭერენ მხარს მრავალი მაგიდის პოლიტიკური ორგანიზაციების ინიციატივას, რესპუბლიკის პრეზიდენტის ბრძანებულებას.

სურათებზე: გარინდულან ამწეები ფოთის ნავსადგურში; გრძელ კოლონად ჩამწკრივებულან ზესტაფონის მახლობლად გზატკეცილზე რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ მიმავალი სატვირთო ავტომანქანები; „მხარს ვუჭერთ მრავალი მაგიდის პოლიტიკური ორგანიზაციების მოთხოვნებს“ — ასეთია თბილისელთა აზრი.

გია სამსონიასა და შახვალად აივაზოვის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

საპროტესტო აქცია

ბათუმი 16 აპრილი. (საქინფორმის კორ. თამაზ გენძეხაძე). გუშინ სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოების აჭარის რეგიონალური ორგანიზაციის ინიციატივით თავისუფლების მოედანთან მდებარე სკვერში დაიწყო მჯდომარე გაფიცვა. აქ გამოტანილ ფარებზე წარწერილია: „მოვითხოვთ საბჭოთა ჯარების გაყვანას სამაჩაბლოდან“, „მოვუწოდებთ საქართველოს მოსახლეობას ეროვნული დაუმორჩილებლობისაკენ“, „მოვითხოვთ გაიმართოს აჭარის უზენაესი საბჭოს რიგგარეშე სესია აჭარის ავტონომიის საკითხზე რეფერენდუმთან დაკავშირებით“, „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს არჩევნების ნაცვლად 28 აპრილს გაიმართოს რეფერენდუმი აჭარის ავტონომიის საკითხის გამო“ და სხვ.

—ჯერჯერობით დაახლოებით 30 კაცი ვართ, — თქვა საპროტესტო აქციის ერთ-ერთმა მონაწილემ ნიაზ მალაყმაძემ. — მალე შემოგვიერთდებიან ხულოს, ქედის, ხელვაჩაურის, ჩაქვის, ქობულეთის წარმომადგენლები.

საპროტესტო აქცია გაგრძელდება მანამ, სანამ არ დააკმაყოფილებენ გაფიცულთა მოთხოვნებს.

• • •

ამ დღეებში სრულიად საქართველოს მერაბ კოსტავას საზოგადოების აჭარის რეგიონალური ორგანიზაცია აწყობს სოციოლოგიურ გამოკვლევას აჭარის მოსახლეობის საზოგადოებრივი აზრის შესწავლის მიზნით. სავარაუდო ანკეტაში შეტანილია სამი კითხვა:

1. იცით თუ არა, დაახლოებით რა ფინანსური ხარჯები გამოიყოფა აჭარის მინისტრთა საბჭოს, სამინისტროებისა და სახელმწიფო კომიტეტების კადრების შენახვისათვის?
2. რამდენად აუცილებლად მიგაჩნიათ კიდევ ერთი მთავრობის არსებობა ისეთ ისტორიულად განუყოფელ კუთხეში, როგორიცაა აჭარა?
3. ხართ თუ არა მომხრე აჭარის ავტონომიის გაუქმებისა?

ბოროტების იმპერია

ერთ მუშტად შეკვრა გვმართებს

1991 წლის პირველ აპრილს სსრკ უზენაესი საბჭოს სესიამ მიიღო საქართველოსთან აშკარა ომში ჩაბმის მანიშნებელი დადგენილება, რომლის ძალითაც საბჭოთა იმპერიის ცენტრალურ ხელისუფლებას საშუალება მიეცა საქართველოს ძირძველ მიწაზე, სამაჩაბლოში მის მიერვე ინსპირირებული ეთნოკონფლიქტის აღმოფხვრის საბაბით აგრესიული პოლიტიკა განეხორციელებინა. მანამდე კი მოხდა კიდევ უფრო მეტად აღმაშფოთებელი ფაქტი. რუსეთის სახალხო დეპუტატთა ყრილობამ ყოფილ ე. წ. სამხრეთ ოსეთში საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების რეკომენდაცია მისცა სსრკ პრეზიდენტს. ეს არის რუსეთის ისტორიაში ჩაწერილი სამარცხვინო ფურცელი, ორმაგად სამარცხვინო იმდენად, რამდენადაც დღევანდელი რუსეთი, როგორც მოვლენები გვიჩვენებს, თავად იბრძვის კრემლის დიქტატისაგან გასათავისუფლებლად, ხოლო ამ დადგენილებით იმავე კრემლს ურჩევს დასაჯოს თავისუფლებისათვის მებრძოლი საქართველოს რესპუბლიკა. რას იზამ, სანამ საკავშირო კომუნისტური პარტიისა და კომუნისტური სახელმწიფო ბიუროკრატიის წარმომადგენლები უმრავლესობაში არიან რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკის უმაღლეს ორგანოში, მისგან სასიკეთოს არ უნდა ველოდოთ. ლენინი ამბობდა: „პარტია ჩვენი ხალხის გონება, სინდისი და პატიოსნებაა“. მართლაც, ვიდრე რუსეთის ბოლშევიკური პარტია რუსეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში საგრძნობი გავლენით სარგებლობს, ასეთი რუსეთი იმპერიული აზროვნებით იქნება დაავადებული, რადგან თუ როგორი სატანური მეთოდებით, მიფურთხებული სინდისითა და თვით მცნება პატიოსნების შეურაცხმყოფელი პატიოსნებით იბრძვის სკპ (ამ ბოლო დროს კი მას შეუერთდა ახლად შექმნილი რკპ) პიროვნებისა და ერის თავისუფლების წინააღმდეგ, ყველასათვის დღესავით ნათელია 70-წლიანი ბოლშევიკური ისტორიითა და თანამედროვე მოვლენების მიმდინარეობითაც.

კრემლის დაგეშილმა ვანდალებმა შინაგანი ჯარისა და ომონის სახელით რომ არიან ცნობილნი, 11 აპრილს ქარელის რაიონში ცეცხლი წაუკიდეს წმინდა გიორგისა და წმინდა სამების ეკლესიებს. მთავარი საფუძველი, რაც ჩვენს წინაპრებს იმედის თვალით რუსეთისაკენ ახედებდა, იყო მისი ერთმორწმუნეობა, მისი მართლმადიდებლობა, ქრისტესმსახურება. კომუნისტურმა რუსეთმა ამ ვანდალური აქციით, რასაც ბევრჯერ ძლევამოსილი მუსულმანური ქვეყნებიც არ კადრულობდნენ, ჩვენი რწმენის ერთიანობასაც გადაუსვა ხაზი. სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია, რომ რუსეთის პატრიარქი ალექსი მეორე, რომელსაც სულიერი მხარდაჭერისათვის მიმართა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ, არავითარ რეაგირებას არ ახდენს, დუმს, სამაგიეროდ, როცა იმპერიის ნგრევას ხედავს, მაშინ ვითომდა წესრიგის დასაცავად სსრკ პრეზიდენტს მკაცრი პოლიტიკის გატარებისაკენ მოუწოდებს, რას იზამ, როცა ქრისტესმიერი მოწყალებით და სამართლიანობით არც ეკლესიის მსახურნი გამოირჩევიან რუსეთში. მეფის რუსეთის ეგზარხოსების სულიერ შთამომავლებს სხვა რა უნდა მოსთხოვო. მაგრამ ქართველი ერი საკუთარი ბედის ანაბარა მარტო არ არის დარჩენილი. რუსეთში გამოჩნდა ახალი ძალა დემოკრატების სახით, რომელიც, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ამ უკიდეგანო იმპერიაში თავისუფლების სუნთქვას გრიგალად აქცევს. კრემლის ოლიგარქია უკვე ვერ ბედავს რუსეთის დემოკრატიულ მოძრაობასთან აშკარა დაპირისპირებას. ეს გამომჟღავნდა ამა წლის 28 მარტს რუსეთის სახალხო დეპუტატთა საგანგებო ყრილობის მსვლელობისას, როცა კონსერვატორებმა, მიუხედავად თავიანთი უმრავლესობისა, მოსკოვის ქუჩებში ელცინის დასაცავად გამოსული მილიონობით ადამიანის შიშით ვერ გაბედეს რეაქციული მიზნების განხორციელება. ყრილობა ხომ კომუნისტების ინიციატივით იქნა მოწვეული, რათა ელცინი რუსეთის რესპუბლიკის ხელმძღვანელობიდან ჩამოეშორებინათ და რსფსრ პარლამენტი საკავშირო მთავრობისათვის დაექვემდებარებინათ. გორბაჩოვმა და მისმა საჭურლენმა არმიამ და სუკ-მა მოსკოვის ცენტრში ჯარების გამოყვანით სცადეს დემოკრატებისა და ხალხის დაშინება, მაგრამ ეს რომ ვერ შეძლეს, თავად დაშინებულებმა არმია უკან გაიწვიეს. არადა, ხომ ფაქტია, რომ თბილისში, ბაქოში, ვილნიუსში და სხვა ქალაქებში უიარაღო მოსახლეობის ხოცვა-ჟლეტა გამართეს, მოსკოვში კი, ანალოგიური სისხლიანი ანგარიშსწორება ვერ გაბედეს. არავის ეგონოს, რომ ჰუმანიზმის გამო მოერიდნენ სისხლისღვრას ე. წ. ცენტრის მაფიოზები. არა და არა, უბრალოდ, თვალწინ წარმოუდგათ თავიანთი კოლეგების ჩაუშესკუს, ჰონეკერის, ტოდორ ჟივკოვის, პოლ-პოტისა და სხვათა ისტორიები. ეს იყო მათი უკანდახევის მიზეზი. აი, ასეთი ძალის მქონე რუსეთის დემოკრატიული მოძრაობა აღიარებს რუსეთის დაპყრობილ ერთა თვითგამორკვევის უფლებებს. ხომ ცნობილია, რომ კუზბასის გაფიცულ მეშახტეთა ერთ-ერთი მთავარი პოლიტიკური მოთხოვნაა საბჭოთა რესპუბლიკებისათვის სრული სუვერენიტეტის მინიჭება, რაც უნდა გადაწყვიტოს დემოკრატიული წესით არჩეულმა რესპუბლიკების პარლამენტებმა.

მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, კრემლისათვის იმდენად წარმოუდგენელია საქართველოს დაკარგვა, რომ მასთან მიმართებაში არ ერიდება საერთაშორისო სამართლის უხეშ დარღვევასაც კი. ჯერ ერთი იურიდიულად საქართველო 1918 წლის 26 მაისის დამოუკიდებლობის აქტით არის სუვერენული სახელმწიფო, რაც ამჟამადაც ძალაშია, რადგან მის მთავრობას რუსეთის საოკუპაციო მმართველობასთან კაპიტულაციაზე ხელი არ მოუწერია. მეორეც, ანექსიის ფაქტის შესანიღბავად დამპყრობელმა საქართველოს უფლება მისცა კონსტიტუციურად სუვერენულ რესპუბლიკად დარჩენილიყო. საქართველოში გასული წლის ოქტომბერში საყოველთაოდ აღიარებული დემოკრატიული წესით აირჩა კონსტიტუციურად სუვერენული რესპუბლიკის პარლამენტი, უზენაესი საბჭო, 1991 წლის 9 აპრილს კი, ამ ჭეშმარიტად ეროვნულმა პარლამენტმა 1918 წლის 26 მაისის აქტის საფუძველზე აღადგინა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა. ამიერიდან, საქართველო არის სუვერენული რესპუბლიკა და მზად მყოფი მისი სუვერენობის საერთაშორისო აღიარებისათვის.

როგორც იტყვიან, მოვლენები ელვის უსწრაფესად ვითარდება. რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს 14 აპრილის სესიამ საქართველოში არსებული საგანგებო მდგომარეობიდან გამომდინარე საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტად აირჩია საქართველოს ეროვნული მოძრაობის აღიარებული ლიდერი ბატონი ზვიად გამსახურდია და 1991 წლის 26 მაისამდე, პრეზიდენტის საყოველთაო სახალხო არჩევნების დღემდე, საგანგებო უფლებამოსილებით აღჭურვა. ყოველივე ამის ფონზე სსრკ-ს და რსფსრ-ს ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების ვანდალური დადგენილებები და მათი განხორციელებისათვის საქმიანობა სუვერენული საქართველოს ტერიტორიის ხელმეორედ ოკუპაციისა და ანექსიის იმპერიული კანონმდებლობით დაკანონებაა, რასაც წინ უნდა აღუდგეს ერთ მუშტად შეკრული მთელი ქართველი ერი, დიდხანს ვერ ბედავდა კრემლი საქართველოსთან აშკარა კონფლიქტზე წამოსვლას. ალბათ გახსოვთ სსრკ იმპერატორის, მაგრამ ამ ფაქტის შესანიღბავად პრეზიდენტად წოდებულის ამა წლის 7 იანვრის დადგენილება, როცა საქართველოს უზენაეს საბჭოს 3 დღე ჰქონდა მოცემული სამაჩაბლოდან ქართული მილიციის გამოყვანისათვის, მაგრამ სამი დღე სამ თვედ იქცა და აი ახლა, როცა კრემლმა იგრძნო ოსი ექსტრემისტების უკან დახევა ქართველ პატრიოტებთან ბრძოლაში, მაშინ გადაწყვიტა ჩარეულიყო რუსული ხიშტით და დაეცვა საკუთარი ინტერესები.

საბედნიეროდ, საქართველო სახელმწიფოებრივ დონეზე, ეროვნული მთავრობის ხელშეწყობით, რაზეც მეტყველებს საქართველოს პრეზიდენტის ზვიად გამსახურდიას პირველი ბრძანება ეროვნული დაუმორჩილებლობის განხორციელებისათვის მხარდასაჭერად, საყოველთაო საპროტესტო გამოსვლებით, გაფიცვებით, მანიფესტაციებით და მიტინგებით უპირისპირდება მოსკოვის იმპერიულ ზრახვებს, რაც გამარჯვების საწინდარია.

ქართველებო! ამ ვითარებას უნდა შევხვდეთ მეტი გამძლეობით, შემართებით, მეტი დისციპლინით და სიტუაციასთან შესაფერისი მოქმედებით. რუსეთის ვერაგი იმპერია გვებრძვის და ნურაფერი შეგვაკრთობს, ჩვენი უკან დახევა გამორიცხულია. რაც მთავარია, მარტონი არა ვართ. ლიტველები, ესტონელები, ლატვიელები, მოლდაველები, უკრაინელები, სომხები და აზერბაიჯანელები და ამ ბოლო დროს თვით რუსებიც მხარში გვიდგანან ჩვენივე თავგანწირული ბრძოლით გულანთებულნი. დარწმუნებული ვიყოთ დემოკრატიული მსოფლიოც ჩვენთან იქნება. რწმენამ გადაგვარჩინა აქამდე, დაე, ამიერიდანაც რწმენამ გვიხსნას. გავიხსენოთ ჩვენი სათაყვანებელი მეფის დავით აღმაშენებლის დიდგორის ომის წინ წარმოთქმული სიტყვები და ღმერთის მონიჭებული ძალით ჩვენს ბრძოლას კიდევ ერთხელ მივანდოთ ქართვლის ბედი.

„ეჰა, მეომარნო ქრისტიანენო! თუ ღვთის სჯულის დასაცავად თავდადებით ვიბრძოლებთ, არამცთუ ეშმაკის ურიცხვ მიმდევრებს, არამედ თვით ეშმაკსაც ადვილად დავამარცხებთ და ერთ რამეს გირჩევთ, რაც ჩვენი პატიოსნებისა და სარგებლობისათვის კარგი იქნება: ჩვენ, ყველამ, ხელების ცისაკენ აპყრობით, ძლიერ ღმერთს ალთქმა მივცეთ, რომ მისი სიყვარულისთვის ან გავიმარჯვებთ, ან ბრძოლის ველზე დავიხოცებით“.

გია თვალავაძე,

ჰონორარი გთხოვთ გადარიცხოთ ეროვნული თავდაცვის ფონდში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასეც ხდება...

ნეტავ სულ არ მენახა...

ახლახან შემთხვევით ხელში ჩამივარდა მეტად „უნიკალური" გამოცემა, რომლის შესახებაც მინდა მოვუთხრო მკითხველს; თუმცა გამოცემას გამომცემელი არ ჰყავს (შეკვეთით საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის სტამბაშია დაბეჭდილი), ცხადია, არც რედაქტორი; სამეცნიერო რედაქტორსა ან სარედაქციო კოლეგიაზე ლაპარაკიც ზედმეტია. ნაშრომი შექმნილია საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ონკოლოგიის სამეცნიერო ცენტრში, საკმაოდ სოლიდურ ავტორთა ჯგუფის მიერ — ლ. ი. ჩარკვიანი, ლ. კ. შარაშიძე, დ. ა. ღვამიჩავა, კ. კ. მადიჩი, ზ. ო. რობაქიძე, ნ. ს. ჩახნიძე, თ. დ. ჩარკვიანი. ქართველ კაცს მამის სახელით არ მიმართავენ და, ცხადია, აქ ასეთი ინიციალებიც ზედმეტია, ასევეა ინგლისურშიც. მაგრამ ზოგი ავტორი და გამომცემელიც დაჟინებით მიმართავს ასეთ ხერხს, რაც გაუმართლებლად მიგვაჩნია (წლების მანძილზე ზოგიერთ გამომცემლობასა და რედაქციაში დავა მაქვს იმაზე, რომ ქართულში სახელი სრულად უნდა იწერებოდეს).

თუმცა, რადა სატიტულო ფურცლიდან ვიწყებ, ნაშრომი ხომ ყდით იწყება. როცა პირველად ამ გამოცემას გარედან დავხედე, მოსწავლის სახატავი რვეული მეგონა. თეთრ ყდაზე გლობუსის უხეირო იმიტაცაა გაკეთებული ზედხედიდან, ოკეანეები და ზღვები ცისფრად შეღებილია. საბჭოთა კავშირი წითლად, რომელსაც СССР აწერია, ხოლო საქართველო კიდევ უფრო მუქი წითლით არის შეღებილი, ГССР კი თურქეთის ტერიტორიაზე აწერია. დანარჩენი მსოფლიო თეთრად არის დატოვებული. ყდის მარჯვენა მხარეზე ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე წარწერაა— ატლასი. თქვენ წარმოიდგინეთ, მოსწავლის სახატავი რვეული კი არა, არამედ ატლასი ყოფილა. მკითხველი ალბათ მეტყვის, გადაგეშალა და გაგეგო რა იყო. კი, მაგრამ წიგნი თუ არ გადაშალე ყდით ვერ უნდა გაიგო რა წიგნია? რისი ატლასია, ვისი ატლასია, ხომ ყდამ უნდა მითხრას? ერთად ერთი, რაც გასაგები გახდა, ატლასი სამ ენოვანი ყოფილა. ტყუილად მაჩქარებდი მკითხველო, ამ ნაშრომის გადაფურცვლას. ნეტავი არ გადამეშალა...

ახლა სათაურიც ვნახოთ — „ქალის სასქესო ორგანოების და სარძევე ჯირკვლის კიბოთი დაავადება საქართველოს სსრ-ში 20 წლის მანძილზე (1965-1984)". კიდევ კარგი საქართველოს სსრ-ში და ღმერთმა გვაშოროს საქართველოს რესპუბლიკაში. სათაურის მიხედვით უკვე არ ჩანს ეგი ატლასია თუ წიგნი. მე არ ვიცი, რამდენად ესაჭიროებათ მსოფლიოს ქვეყნებს ასეთი ნაშრომი, იმ დროს, როცა ჩვენი ბრწყინვალე ძველი მატერიალური კულტურის ძეგლების ატლასი ვერ გამოგვიცია, რითაც ბევრი უცხოელი ხელოვნებათმცოდნე ნამდვილად დაინტერესდებოდა.

ჩემს კომპეტენციაში სრულიად არ შედის ამ ატლასის შინაარსის ავ-კარგზე მოგახსენოთ, ამის გაკეთება დარგის სპეციალისტების უშუალო საქმეა. წინამდებარე წერილის დაწერა ერთმა აღმაშფოთებელმა გარემოებამ გადამაწყვეტინა. ადრეც ვფიქრობდი და მით უმეტეს ახლა, რომ საქართველოს ყველა უმაღლეს სასწავლებელში, განურჩევლად სპეციალობისა, უნდა ისწავლებოდეს მშობლიური ქვეყნის ისტორია. იგი ექიმსაც, ინჟინერსაც, სოფლის მეურნეობის მუშაკსაც... ერთნაირად სჭირდება. ასე რომ ყოფილიყო, ზემოაღნიშნული ნაშრომის შემქმნელები უხეშ შეცდომას არ დაუშვებდნენ. თავდაპირველად ვიფიქრე — ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროში მივალ და ვთხოვ, რათა არ გავრცელებულიყო ეს გამოცემა. თურმე რამდენიმე თვის წინათ იგი საქწიგნის მაღაზიებში იყიდებოდა და ოჯახებიდან ახლა ვიღას დააბრუნებინებ, მით უმეტეს, ნაშრომი სამ ენოვანია და საზღვარგარეთ თუ არა, საბჭოთა კავშირის რამდენიმე ქალაქში მაინც იქნება ავტორებისაგან კოლეგებისათვის გაგზავნილი. იმ საბჭოთა კავშირში, რომლის შესახებ ავტორები წერენ: „საქართველოს სსრ მდებარეობს ევროპისა და აზიის საზღვარზე სსრ კავშირის სამხრეთ ნაწილში და წარმოადგენს ერთ-ერთს თხუთმეტი სრულუფლებიანი მოკავშირე რესპუბლიკიდან". ამიტომ, ჩვენივე, ქართული გამოცემა ბუმერანგივით უკან რომ არ დაგვიბრუნდეს, ეს პატარა კრიტიკული წერილი მაინც არსებობდეს, მით უმეტეს ატლასი უცხოელებისთვისაც არის განკუთვნილი.

ნაშრომის მეორე პარაგრაფში — „საქართველოს სსრ მოკლე ეთნიკურ-გეოგრაფიული, ეკონომიკური და დემოგრაფიული დახასიათება" — თეთრზე შავით სწერია: „საქართველოს **ეთნიკური რაიონების ფორმირება ხდებოდა ჯერ კიდევ უძველეს დროს** (ხაზგასმა ყველგან ჩვენია — კ. ხ.) და ამას, როგორც წესი, ხელს უწყობდა ცალკეული პროვინციების ბუნებრივ-გეოგრაფიული, ეთნოგრაფიული და პოლიტიკური ნიშნების თავისებურებები". შემდეგ კი აღნიშნულია: „სხვადასხვა კუთხეების ისტორიული ბედის ერთიანობის მიუხედავად საქართველო ძალზე მრავალფეროვანია როგორც ბუნებრივი, ასევე ეთნიკურ-ეკონომიკური თვალსაზრისით. როგორც უკვე აღინიშნა, **საქართველოს ტერიტორიაზე, უძველესი დროიდან, ბუნებრივ გეოგრაფიული, ეთნოგრაფიული და პოლიტიკური ნიშან-თვისებების საფუძველზე ჩამოყალიბდა ცალკეული კუთხეები — რეგიონები (პროვინციები):** აღმოსავლეთ საქართველო — ქართლი, კახეთი, მესხეთი, ჯავახეთი, **ოსეთი**, ფშავ-ხევსურეთი, დასავლეთ საქართველო — აჭარა, აფხაზეთი, გურია, სამეგრელო, იმერეთი, რაჭა-ლეჩხუმი, სვანეთი". ვაი, შენ, ჩემო თავო... ბოლოხანს გვიკვირს, საიდან იღებენ მონაცემებს სხვა ხალხი, როცა ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის ტერიტორიას ძველ პროვინციად მიუთითებენ. ამაზე მეტი რა გინდა, **შვიდი ქართველი მეცნიერის ნაშრომი** (შეიძლება ზოგი მათგანი მეცნიერებათა დოქტორი და კანდიდატია) საქართველოს ძველი რეგიონების (პროვინციების) ჩამოთვლისას გაბედულად იხსენიებს ოსეთს. ამის შემდეგ რომელ სხვა ხალხზე შეიძლება საყვედური? ხომ შემოგიბრუნდება და გეტყვის — „ბატონო, თქვენი მეცნიერები ასე ბეჭდავენ და ჩვენ რა მოგვეთხოვებაო"... სამწუხაროდ, სინამდვილეს ვერსად გაექცევი. მით უმეტეს, ის ციტატი, რაც ზემოთ მოვიტანეთ, რუსულ და ინგლისურ ენებზეც უცვლელად არის დაბეჭდილი.

ნაშრომის შემდეგ პარაგრაფში — „რეგიონები" მოკლედ არის დახასიათებული თითოეული ზემოთ ჩამოთვლილი რეგიონი. მათი გაცნობით მკითხველს თავს არ შევაწყენ, მხოლოდ ავტორთა მიერ შემოთავაზებულ საქართველოს ერთ „ძველ რეგიონს" ოსეთს გაგაცნობთ: **„ოსეთი —** მდებარეობს ჩრდილოეთის მაღალმთიანეთის აღმოსავლეთ ნაწილის სამხრეთ ძირში. ტერიტორიის ორი მესამედი უჭირავს საშუალო და მაღალმთიან ადგილებს, სადაც ჭარბობს ზღვის დონიდან 1500-3200 მ. სიმაღლეები. რეგიონში 4 ადმინისტრაციული რაიონია 3,8 ათასი კვ. კმ. საერთო ფართობით.

რეგიონის ჰავა იცვლება ადგილის სიმაღლის ცვლასთან ერთად. აქ ზაფხული მოკლეა და ზამთარი კი — ხანგრძლივთოვლიანი".

ვერ გეტყვით, რომელი ნაშრომებიდან ისარგებლეს ავტორებმა, მაგრამ ამ მოკლე დახასიათებაში რომ ბევრი უაზრობაა, თქმა არ უნდა. ნაშრომს რომ რედაქტორი ჰყოლოდა, იქნებ ეს უაზრო, ჩიქორთული ქართულით წარმოდგენილი წინადადებაც არ ყოფილიყო — **„ოსეთი — მდებარეობს ჩრდილოეთის მაღალმთიანეთის აღმოსავლეთ ნაწილის სამხრეთ ძირში".** რას ჰქვია ჩრდილოეთის მაღალმთიანეთი, რას ჰქვია აღმოსავლეთი ნაწილი, ან სამხრეთის ძირში? ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი ცენტრალური კავკასიონის მთავარი წყალგამყოფი ქედის სამხრეთ ნაწილშია და არა აღმოსავლეთ ნაწილში; ამასთან, სამხრეთის ძირში კი არ მდებარეობს, არამედ წყალგამყოფი ქედის სამხრეთით. თურმე, მისი ტერიტორიის უმეტესი ნაწილი 1500-3200 მ სიმაღლეზე ყოფილა. კიდევ კარგი, შიდა ქართლის ეს ნაწილი ტიბეტის ზეგანს არ შეადარეს. თუმცა, ჰავის მიხედვით, ზემოაღნიშნულ ავტორთა თქმით, ეს მხარე არქტიკულ ზონას არ ჩამოუვარდება — „აქ ზაფხული მოკლეა და ზამთარი კი — ხანგრძლივთოვლიანი". ამის წამკითხველი უცხოელი ნამდვილად თუ ამ მხარეში დააპირებს წამოსვლას, ზაფხულშიც თბილ ტანსაცმელს წამოიღებს.

აი, ასე გააცნობიერეს შვიდმა ქართველმა ავტორმა არა მარტო უცხოელი მკითხველი, არამედ ჩვენიც. ჩვენც იმიტომ, რომ ამისთანა ისტორია, გეოგრაფია ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის 68 წლიანი არსებობის მანძილზე არსად წამიკითხავს.

ყველაფერი ეს კი, შემდეგ თვალსაჩინოდ არის გადმოცემული იმ 20 კარტოგრამაზე და 5 ცხრილში, რომლებიც ზემოაღნიშნულ ატლასშია მოთავსებული. კარტოგრამებზე უკვე **ოსეთის ნაცვლად გაჩნდა სამხრეთ ოსეთი,** ცხადია ავტონომიური ოლქის აღნიშვნის გარეშე, ასევეა ცხრილებშიც. მაგრამ გაკვირვებას იწვევს ისიც, რომ კარტოგრამებზე ყველგან რუსულად „Юго-Осетия". ცხრილებში „Юго-Осети", ხოლო ტექსტში „Осети" წერია. აქ კი კომენტარი ზედმეტია.

ნაშრომის ავტორები ალბათ მეტყვიან, ჩვენი ნაშრომი ხომ 1989 წელს დაიბეჭდა და ამდენად, ის ცვლილება ვერ მოხდებოდა, რომელიც ამჟამად არისო. მე სრულებით არ ვსაყვედურობ იმას, რომ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი ასახულიყო ტექსტსა და რუკებზე, რამდენადაც გინდოდა თუ არა, ფაქტი იყო არსებობდა იგი. საქმე ეხება იმას, რომ საქართველოს ძველი პროვინცია სამხრეთ ოსეთი, მით უფრო ოსეთი, არასდროს ყოფილა. რომელ ძველ პროვინციაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა 1921 წელსაც კი ცხინვალში მხოლოდ რამდენიმე ოჯახი იყო ოსური. ამის შემდეგ ღირს კი ლაპარაკი ბუნებრივ-გეოგრაფიულ, ეთნიკურ, ეკონომიკურ პროვინციაზე შიდა ქართლის ძირძველ და განუყოფელ ნაწილზე? უფრო მეტიც, თუ სხვაგვარად არ ჩამომართმევთ, წინამდებარე ნაშრომის ავტორებს შემიძლია მივუთითო „საქართველოს სსრ წითელი წიგნი", რომელსაც დანართის სახით აქვს ჩაკეცილი ფერადი რუკა, რომელზეც სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საზღვარი საერთოდ მოხსნილია, ეს რუკა კი 1981 წელს არის დაბეჭდილი იმ საიდუმლოებათა № 8 კარტოგრაფიულ ფაბრიკაში, სადაც მოსკოვის გარეშე ერთ წერტილსაც ვერ გააპარებდი. დღეს შეგვიძლია მსგავსი რამ უშიშრად გავაკეთოთ, მაგრამ იმ დროს ეს რისკის ფასი იყო... ჩვენ ავტორებს კი საამისო არაფერი სჭირდებათ და 1989 წელს სიმართლის დაწერისათვის არ დასჯიდნენ, მით უმეტეს, ატლასი ალბათ 1990 წელს გამოვიდა. ავტორებმა კი დღევანდელობას ფეხდაფეხ უნდა მისდიონ და დაბეჭდვის წინ უნდა მოახდინონ ის ცვლილებები, რომლებიც საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ცხოვრებაში ასახება. ჩვენს ავტორებს უნდა გამოეჩინათ მეცნიერული და მოქალაქეობრივი მრწამსი, ეჩვენებინათ თავიანთი ნაშრომი შესაბამისი დარგის სპეციალისტებისათვის, რათა არ გაპარულიყო ასეთი ლაფსუსი. მით უმეტეს, ნაშრომს არათუ სამეცნიერო რედაქტორი, არამედ რეცენზენტებიც არ ჰყოლია (ყოველ შემთხვევაში ნაშრომზე მითითებული არ არის).

და კიდევ, ვისარგებლებ შემთხვევით და აღვნიშნავ; ხშირად წერენ და ზეპირმეტყველებაში გადმოსცემენ ტერმინ რუკის ნაცვლად რუქას. ასეა წინამდებარე ნაშრომშიც. უნდა ითქვას, რომ არც ერთ თანამედროვე გამოცემულ რუკას რუქა არ აწერია. თვით ქართული ენის ორთოგრაფიულ ლექსიკონში ხაზგასმითაა აღნიშნული — „რუკა კი არა რუქა". ამას წინათ, ტელევიზიის საინფორმაციო პროგრამა „მოამბეში" გამოსვლის შემდეგ ერთმა ნაცნობმა დამირეკა და მითხრა: „ყველაფერი კარგი იყო, მაგრამ თუ არ გეწყინება ერთი შენიშვნა უნდა გითხრა, საუბრისას რუქის ნაცვლად სულ რუკას ახსენებდიო".

აღარ შევუდგები ნაშრომის განხილვას, მაგრამ თვალის ერთი გადავლებითაც ჩანს, რომ თვით კარტოგრამებიც პრიმიტიულად არის გაკეთებული. როგორც აღვნიშნეთ, ჩვენი წერილი მხოლოდ ერთ მიზანს ემსახურება, რათა მომავალში მაინც აღარ განმეორდეს ასეთი რამ. საჭიროა შესაბამისი სპეციალისტების კონსულტაციების მიღება, რათა მეცნიერული ნაშრომი მართლა ნაშრომს დაემსგავსოს...

წინამდებარე ატლასის შესავლის ბოლოს აღნიშნულია: „ვიმედოვნებთ, რომ ატლასი გარკვეულ სამსახურს გაუწევს ავთვისებიანი სიმსივნეების ეპიდემოლოგიის დარგში მომუშავე მკვლევარებსა და ჯანდაცვის ორგანიზატორებს. იგი აგრეთვე სასარგებლო იქნება ექიმ-ონკოლოგების, გინეკოლოგებისა და ჰიგიენისტებისათვის". ვერ გეტყვით, რა სამსახურს და სარგებლობას გაუწევს ჩამოთვლილ სპეციალისტებს ეს ატლასი, მაგრამ ჩვენს ავთვისებიან მტრებს რომ სარგებლობას მოუტანს, ეს ნათელია...

კობა ხარაძე

წერილი რედაქციას

ის ცნობილი პოლიტიკის გაგრძელებაა

გაზეთ „მედიცინსკაია გაზეტას" ა. წ. 12 აპრილის ნომერში გამოქვეყნდა საკუთარი კორესპონდენტის მ. მელქონიანის სტატია „ვის აძლევს ეს ხელს?".

ამასთან დაკავშირებით თავს მოვალედ ვთვლი თქვენი გაზეთის მეშვეობით განვაცხადო, რომ აღნიშნული სტატია, ჩემის აზრით, სხვა არაფერია, თუ არა სუვერენული რესპუბლიკის საშინაო საქმეებში ჩარევის კარგად ცნობილი პოლიტიკის გაგრძელება. არ შეიძლება სხვა დასკვნა გააკეთო, რადგან აშკარად ჩანს, რომ პროფესიული გაზეთი პროფესიული საკითხების ნაცვლად ფაქტობრივად განსჯის საგნად რესპუბლიკის ხელისუფლების საკადრო პოლიტიკას ირჩევს და ამას საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენის შემდეგ აკეთებს.

ხოლო ის ფაქტი, რომ სტატია დაიწერა და გამოქვეყნდა მას შემდეგ, რაც კორესპონდენტს ჩემთან საუბარზე კატეგორიული უარი განვუცხადე, მხოლოდ იმაზე მეტყველებს, თუ რამდენად სცემს პატივს „მედიცინსკაია გაზეტა" და მისი კორესპონდენტი ეთიკის ელემენტარულ მოთხოვნებს.

ამ სტატიის თაობაზე სათანადო პასუხი გაზეთ „მედიცინსკაია გაზეტას" რედაქციასაც გავუგზავნე.

ირაკლი მენაღარიშვილი.

საზღვარგარეთ

რამდენიმე სტრიქონით

შეერთებულ შტატებში ორდღიანი ვიზიტით ჩავიდა ჩეხოსლოვაკეთის საგარეო საქმეთა მინისტრი დინსტბირი. იგი ესაუბრა პრეზიდენტ ბუშს, ვიცე-პრეზიდენტ კუელს, სახელმწიფო მდივანს ბეიკერს და სხვა მაღალი თანამდებობის პირებს. მოლაპარაკებების დროს განიხილეს ორ ქვეყანას შორის სავაჭრო ურთიერთობისა და ევროპაში უშიშროების განმტკიცების საკითხები.

ბრიტანული გაზეთის „ინდეპენდენტ ონ სანდის" განცხადების თანახმად, 1986 წელს ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურში მომხდარ კატასტროფას შეეწირა 7-დან 10 ათასამდე კაცი. გაზეთი იმოწმებს საბჭოთა სპეციალისტის ვლადიმერ ჩერნუსენკოს მონაცემებს. საბჭოთა მხარე კი ამტკიცებს, რადიაციის შედეგად მხოლოდ 31 ადამიანი დაიღუპა.

როგორც ვარაუდობენ, ქოლერის ეპიდემია სამხრეთ ამერიკიდან შეერთებულ შტატებშიც შეიჭრა. მაიამში ავადმყოფობის ორი შემთხვევაა დაფიქსირებული. ცოტა ხნის წინ ამ ავადმყოფებმა პერუში და ეკვატორში იმოგზაურეს.

ვენის ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული საავადმყოფოს 4 მოწყალების დას სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს. სასამართლომ დაადგინა, რომ მათ 42 მძიმედ ავადმყოფ, ხანდაზმულ პაციენტებს განზრახ მოუსწრაფეს სიცოცხლე. ბრალდებულების განცხადებით ისინი ამ აქტს ჰუმანური მოსაზრებით აკეთებდნენ, რათა ავადმყოფებისთვის ტანჯვა შეემსუბუქებინათ.

გუშინ გაფიცვა განაახლა ბელორუსიის კალიუმის მაღაროში. გაფიცულები ხელფასის მომატებასთან და ფასების დაწევასთან ერთად საკავშირო კომუნისტური მთავრობის გადაყენებასაც მოითხოვენ.

გასულ კვირას სომხეთში იმოგზაურა თურქეთის ელჩმა მოსკოვში ვოლკან ვურალმა. იგი ესაუბრა უზენაესი საბჭოს თავმჯდომარეს ლევონ ტერ-პეტროსიანს. მხარეებმა იმედი გამოთქვეს, რომ წარსულის უმძიმესი მემკვიდრეობის მიუხედავად მომავალში შეეცდებიან კარგი ურთიერთობა დაამყარონ.

ჩილეს ჯანდაცვის სამინისტრომ განაცხადა, რომ ჰოსპიტალში მოათავსეს ქოლერის სიმპტომიანი ავადმყოფი. დაავადების მიზეზი, როგორც ჩანს, იყო ბოსტნეული, რომელსაც ხშირად ჩამდინარე წყლებით რწყავენ, რადგან მტკნარი წყალი ცოტა აქვთ.

ამერიკის უდიდეს ქალაქებში ემზადებიან გამოსცადონ ახალი ტელეფონ-ავტომატი, რომელშიც ლაპარაკის ფასის გადახდა მოხდება სპეციალური საკრედიტო ბარათის მეშვეობით. სატელეფონო კომპანიის ადმინისტრაცია იმედოვნებს, რომ ეს სიახლე მოეწონებათ ამერიკელებს, რადგან მათ აღარ დასჭირდებათ ჯიბეში ხურდა ფულის ძებნა.

სომხეთის რესპუბლიკის ასამდე დასახლებულ პუნქტს დაუბრუნეს ისტორიული სახელი. რუკიდან გაქრა კუიბიშევი, ორჯონიკიძე, კალინინი, სოვეტაშენი. მათ სომხური ჟღერადობის სახელები მიენიჭათ.

შეერთებული შტატების პრეზიდენტის თანაშემწემ ეროვნული უშიშროების საკითხებში ბრენტ სკოუკროფტმა განაცხადა: „საბჭოთა კავშირში ახლა ერთბაშად სამი რევოლუცია მიმდინარეობს — ეროვნული, პოლიტიკური და ეკონომიკური. თითოეულ მათგანს შეუძლია შთანთქას საზოგადოება ხანგრძლივი პერიოდით, მით უმეტეს სამივეს ერთდროულად მონელება მეტად გაჭირდება.

ირლანდიის პრეზიდენტი მერი რობინსონი ყველაზე პოპულარული პოლიტიკური მოღვაწეა ქვეყანაში. გამოკითხვამ ცხადყო, მისი, როგორც სახელმწიფო მეთაურის საქმიანობას იწონებს მოსახლეობის 74 პროცენტი.

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის პრეზიდენტი ფრედერიკ დე კლერკი მიესალმა ევროპის გაერთიანებათა საბჭოს სესიის გადაწყვეტილებას სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის წინააღმდეგ ეკონომიკური სანქციების ნაწილობრივ გაუქმების შესახებ. დე კლერკი მიიღეს საგარეო საქმეთა მინისტრების დონეზე გამართული საბჭოს სესიაზე, რომელიც ლუქსემბურგში მიმდინარეობდა.

ოპტიმისტურად არის განწყობილი

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯორჯ ბუშმა განაცხადა, რომ ამერიკის ეკონომიკაში ახლანდელი დაქვეითება საცაა დამთავრდება და ქვეყანაში მალე „დაიწყება ეკონომიკური აღმავლობის ახალი ციკლი". ადმინისტრაციის მეთაური გამოვიდა ამერიკის ბიზნესის საბჭოს მორიგ შეხვედრაზე, რომელიც აერთიანებს წამყვანი სამრეწველო, სავაჭრო და ფინანსური გაერთიანებებისა და კომპანიების წარმომადგენლებს, და ჩამოაყალიბა ადმინისტრაციის ეკონომიკური სტრატეგიის ძირითადი მიმართულებანი.

მაგრამ ამერიკის პრეზიდენტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ფედერალური მთავრობა ამას არ უნდა დასჯერდეს და მას განზრახული აქვს ხელი შეუწყოს ეკონომიკის გაჯანსაღებას იმ კონკრეტულ ღონისძიებათა სერიის განხორციელების მეშვეობით, რომლებიც უზრუნველყოფენ „წარმატებას", ქმნიან ახალ სამუშაო ადგილებს, ბიზნესის ახალ შესაძლებლობებს.

ითხოვენ ჰუსეინის გასამართლებას

ესპანეთის გენერალური კორტესის (პარლამენტის) დეპუტატთა კონგრესმა სამშაბათს მოიწონა რეზოლუცია, რომელშიც მოითხოვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მოაწყოს პროცესი ერაყის პრეზიდენტის სადამ ჰუსეინის საქმის გამო სამხედრო დანაშაულის, გენოციდისა და სხვა ქვეყნების წინააღმდეგ აგრესიისათვის.

მან დაგმო „ადამიანის უფლებათა ფეხქვეშ გათელვა და განსაკუთრებით რეპრესიები, რომლებიც ერაყის მთავრობამ თავს დაატეხა მშვიდობიან ქურთ მოსახლეობას"

ესპანეთის პარლამენტარებმა ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებას მოუწოდეს განახორციელონ ქმედითი ღონისძიებანი, რომელთა მიზანია რეპრესიების შეწყვეტა, ადამიანისა და ეროვნებების, განსაკუთრებით ქურთი ხალხისა და შიიტების უფლებების პატივისცემა. საქინფორმი.

ფულის რეფორმა ბრიტანულად

ინგლისის ბანკმა გამოაცხადა, რომ 5 ივნისს მოახდენს ახალი ნიმუშის 20-გირვანქიანი ბანკნოტის ემისიას. ახალი ნიმუშებით შეიცვლება ამჟამად მიმოქცევაში არსებული 20-გირვანქიანი ბანკნოტები.

ეს ბრიტანეთის ხელისუფალთა მეორე ნაბიჯია ფულის რეფორმის გზაზე, რომელიც 1988 წლის ოქტომბერში გამოაცხადეს. იგი ითვალისწინებს ტექნოლოგიურად და მორალურად მოძველებული ახლანდელი ნიშნების შეცვლას ახლით 1:1 შეფარდებით. ამას დასაბამი მისცა ახალმა გამოშვებულმა 5 გირვანქიანმა ბანკნოტებმა. მომავალ რამდენიმე წელიწადში შეცვლიან აგრეთვე 10-გირვანქიანებს და გამოუშვებენ 50-გირვანქიან სახაზინო ბილეთებს.

ახალი ბანკნოტები გაცილებით უფრო პატარა ზომისაა ახლანდელთან შედარებით, შესრულებულია განსაკუთრებულ ქაღალდზე პოლიგრაფიის უკანასკნელ მიღწევათა გამოყენებით. ყველა ღირსების ბანკნოტებს წინამხარეს ექნება დედოფალ ელისაბედ მეორის პორტრეტული გამოსახულება, ხოლო უკან — გამოჩენილ ინგლისელ მეცნიერთა პორტრეტები — ორთქლის მანქანის გამომგონებლის სტივენსონისა — 5-გირვანქიანზე, ფარადეის გამოსახულება — 20-გირვანქიანზე.

რეფორმა არ ითვალისწინებს არავითარ ერთჯერად კამპანიებს ძველი ფულის ახალზე შესაცვლელად. ახალი ნიმუშის ბანკნოტები მიმოქცევაში გამოვა გეგმაზომიერად და თანდათანობით გაცვეთილი ძველი ბანკნოტების ამოღების კვალობაზე. გარდამავალ პერიოდში ძველი და ახალი ფული პარალელურად და თანაბარი უფლებებით იქნება მიმოქცევაში.

ერთდროულად განახლდება ბრიტანული ხურდა ფულის „პარკიც".

როგორ გავახანგრძლივოთ სიცოცხლე

მთლიანად რომ აღმოიფხვრას გულის დაავადებანი, ამერიკელთა სიცოცხლის ხანგრძლივობა საშუალოდ სამი წლით გაიზრდება. ასეთი დასკვნა გამოიტანეს სპეციალური გამოკვლევის ავტორებმა, რომელიც მოაწყვეს ჰარვარდის უნივერსიტეტის სამედიცინო კოლეჯისა და ბოსტონის (მასაჩუსეტსის შტატი) ერთ-ერთი ჰოსპიტლის თანამშრომლებმა. მისი შედეგები გამოქვეყნებულია ჟურნალ „სეკიულეიშნში".

მედიკოსებს აინტერესებდათ, თუ როგორ გავლენას მოახდენდა სიცოცხლის ხანგრძლივობაზე გულის დაავადებათა გამომწვევი ზოგიერთი მიზეზის აღმოფხვრა. აი, რა შედეგი მიიღეს.

თუ 35 წლის მამაკაცი მუდმივ კონტროლს გაუწევს სისხლის წნევას, დამატებით ერთი წლის სიცოცხლეს მიიღებს. სისხლში ჰოლესტერინის დაბალი დონე კიდევ რვა თვეს დაუმატებს. სიგარეტის წევის შეწყვეტა 10 თვის სიცოცხლეს მისცემს, ხოლო ოპტიმალური წონა — კიდევ შვიდი თვისას. სულ სიცოცხლის ხანგრძლივობა სამი წლითა და ერთი თვით გაიზრდება. ამავე ასაკის ქალებისათვის ყველა ზემოთ ჩამოთვლილი მიზეზის აღმოფხვრა სამი წლითა და სამი თვით სიცოცხლის გახანგრძლივებას ნიშნავს.

„თუმცა გულის დაავადებანი ამერიკელთა შორის სიკვდილიანობის ძირითადი მიზეზია, მაგრამ არა ერთადერთი, — მიაჩნია გამოკვლევის ერთ-ერთ ავტორს, ექიმ ლ. გოლდმენს. მაგრამ თუ მათ მაინც დავაღწევთ თავს, ეს არსებითად გაახანგრძლივებს სიცოცხლეს. 1980-დან 1986 წლამდე პერიოდში ადამიანის სიცოცხლის ხანგრძლივობა ამერიკის შეერთებულ შტატებში ერთი წლით გაიზარდა. მოსალოდნელია, რომ 90-იანი წლების მანძილზე იგი კიდევ ორი წლით გაიზრდება. ამის ხელშემწყობი ერთ-ერთი ფაქტორი იქნება გულის დაავადებათა შემცირება".

დომხალიდან თავის დაღწევა სურთ

რა ხდება იუგოსლავიაში?

იუგოსლავიაში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები მსოფლიო საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრშია. ზოგი მიმომხილველის აზრით, მიმდინარე წელი იუგოსლავიის ფედერაციის არსებობის უკანასკნელი წელია — იგი დაიშლება რამდენიმე სახელმწიფოდ, რითაც დასრულდება ე. წ. „ბალკანიზაციის" ხანგრძლივი პროცესი, რაც ევროპის მომავალი სტაბილურობის გარანტი იქნება.

საბჭოთა კავშირი ბევრი რამით ჰგავს იუგოსლავიას და ეს უწინარესად ეროვნულ საკითხს ეხება. გასულ კვირას, სლოვენიის დედაქალაქ ლიუბლიანის მახლობლად, ბრდოს სასახლეში დასრულდა ექვსი რესპუბლიკის ხელმძღვანელთა შეხვედრა. როგორც წინა ორ შეხვედრაზე, ახლაც საბოლოო დასკვნის შინაარსი კვლავ მოწმობს, რომ მხარეებს იუგოსლავიის მომავალზე განსხვავებული შეხედულება აქვთ. სლოვენია და ხორვატია ისევ დამოუკიდებლობის მომხრენი არიან. სერბია და ჩერნოგორია კი ერთიანი იუგოსლავიის შენარჩუნებას ცდილობენ. ბოსნია-ჰერცეგოვინა და მაკედონია, რომლებიც წინა შეხვედრებზე მხარს უჭერდნენ რაღაც შუალედურ ვარიანტს ამ კონცეფციებს შორის, ახლა, ბელგრადის სამწუხაროდ მარჯვნივ გადაიხარნენ და წამოაყენეს წინადადება, რომ იუგოსლავიის მომავალი რესპუბლიკის ხალხებმა ეს საკითხი რეფერენდუმის გზით გადაწყვიტონ, რომელიც მაისის დამლევამდე გაიმართება. ამავე დოკუმენტში გამოხატულია სლოვენიის პოზიციაც, რომელმაც უკვე მოაწყო პლებისციტი, რომლის დროსაც მოსახლეობის 80 პროცენტზე მეტმა სლოვენიის დამოუკიდებლად არსებობა მოისურვა.

თანამედროვე იუგოსლავია მრავალეროვანი სახელმწიფოა. მის ტერიტორიაზე სხვადასხვა დროს ილირიელები, თრაკიელები, რომაელები, კელტები, გერმანული მოდგმის ხალხები, ჰუნები ცხოვრობდნენ. მე-7 საუკუნიდან აქ სლავები დასახლდნენ. შემდეგ, დიდი ხნის განმავლობაში ამ ტერიტორიას ერთმანეთს ეცილებოდნენ ბიზანტიელები, ოსმალები და ავსტრია-უნგრეთის იმპერია..

იუგოსლავიის ტერიტორიაზე დასახლებულ ხალხებს ისტორიის სხვადასხვა მონაკვეთზე ჰქონდათ საკუთარი სამეფო-სახელმწიფოები და დღეს მათ აღდგენას ცდილობენ. კომუნისტური ინტერნაციონალიზმის მარწუხებში მოქცეულმა იუგოსლავმა ხალხებმა ბოლომდე ვერ მიიყვანეს საკუთარი სახელმწიფოებრიობის ჩამოყალიბების პროცესი, და დღეს იგი დიდი ისტორიული დაგვიანებით ხორციელდება; მაგრამ ეს ეტაპი ხომ მათ აუცილებლად უნდა გაიარონ.

თანამედროვე იუგოსლავიის დაშლის ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული პრობლემა ის არის, რომ დღემდე რესპუბლიკებს შორის საზღვრები არ დაზუსტებულა, რაც დიდ სირთულეს ქმნის. რესპუბლიკებში მრავლად ცხოვრობენ არამკვიდრი ერები, რაც სოციალიზმის „საჩუქარია".

ყველაზე დიდი რესპუბლიკაა სერბია, სერბების რიცხვი 10 მილიონს უახლოვდება, ხოლო ტერიტორია 88,4 ათასი კმ²-ს. სერბიაში ორი ავტონომიური ოლქია: კოსოვო და ვოევოდინა. სერბიის პრეზიდენტია 49 წლის სლობოდან მილოშევიჩი, რომელმაც შარშან არჩევნებში აჯობა 44 წლის მწერალს, სერბეთის განახლების მოძრაობის ლიდერს ვუკ დრაშკოვიჩს, რომლის ლოზუნგია „სერბია, მხოლოდ სერბია და არავითარი კომუნისტები". მიმდინარე წლის 9 მარტს, დრაშკოვიჩმა ბელგრადში მრავალათასიანი მიტინგი მოაწყო, რომლის დროსაც პოლიციამ 2 დემონსტრანტი მოკლა და 100-მდე დაჭრა. პრეზიდენტი მილოშევიჩი, მართალია, კომუნისტია, მაგრამ ე. წ. „დიდი სერბეთის" შექმნის მომხრეა, რაც ნიშნავს, რომ იგი იუგოსლავიის დაშლის მოწინააღმდეგეა. სერბიის სერიოზული პრობლემაა კოსოვო, სადაც მოსახლეობის 90 პროცენტზე მეტი ალბანელია და ალბანეთთან შეერთება სურთ.

სერბიის მეზობელია 650 ათასამდე ჩერნოგორიელი, რომლებსაც 14 ათასამდე კმ² ფართობი უკავიათ. ისინი სერბულ-ხორვატული ენის შტოკავურ დიალექტზე ლაპარაკობენ და სერბებთან ბევრი რამ აქვთ საერთო, თუმცა მთიანი რელიეფის გამო ჩერნოგორიელებში უხვად არის შემორჩენილი პატრიარქალურ-კარჩაკეტილი ცხოვრების გადმონაშთები. ჩერნოგორია ერთადერთი იუგოსლავური რესპუბლიკაა, სადაც კომუნისტებმა პოზიციები ისე შეინარჩუნეს, რომ სახელწოდება არ შეუცვლიათ. ჩერნოგორია ფაქტობრივად სერბიას ემხრობა და იუგოსლავიის ერთიანობა სურს. მეთვალყურეების აზრით, იუგოსლავიის დაშლის შემთხვევაში სერბია და ჩერნოგორია გაერთიანდებიან ერთ სახელმწიფოდ, რითაც სერბებს ადრიატიკის ზღვაზე გასასვლელი მიეცემათ.

იუგოსლავიის ერთ-ერთი სერიოზული პრობლემა სერბებისა და ხორვატების ურთიერთობაა, რომელიც ბოლო პერიოდში საგრძნობლად გამწვავდა. ზოგი ფიქრობს, რომ იუგოსლავიის პოლიტიკური კლიმატის 50 პროცენტს სერბებისა და ხორვატების ურთიერთობა განაპირობებს. სერბების დიდი ნაწილი მართლმადიდებლები არიან, ხორვატები — კათოლიკეები. პირველი იყენებს კირილიცას საერო ანბანს, მეორე — ლათინურს. ორივე ხალხი ერთ ენაზე — სერბიულ-ხორვატულზე ლაპარაკობს.

მეორე მსოფლიო ომის დროს სერბები და ხორვატები სხვადასხვა ბარიკადებზე იბრძოდნენ. ხორვატთა რიცხვი 5,5 მილიონი კაცია, მათი ტერიტორია 56 ათასი კმ²-ია. ისინი ხან უნგრეთში და ხან ავსტრია-უნგრეთის იმპერიაში შედიოდნენ. 1941 წლის 10 აპრილს, გენერალ ანტე პაველიჩის ჰიტლერთან გარიგების შედეგად უსტაშების ხელმძღვანელობით შეიქმნა „ხორვატთა დამოუკიდებელი სახელმწიფო", რომელსაც მალე ბოსნია და ჰერცეგოვინა შეუერთდა. უფრო ადრე, უსტაშებმა მარსელში იუგოსლავიის მეფე ალექსანდრე ყარაგიორგევიჩი მოკლეს. პაველიჩის ხელშეწყობით გერმანელებმა იოლად აიღეს ბელგრადი. სერბებს ეს კარგად ახსოვთ და ამიტომ მწვავედ რეაგირებენ ხორვატების საქციელზე. ისინი ადანაშაულებენ ხორვატთა ემიგრაციას ავსტრალიაში, კანადაში, დასავლეთ ევროპის ქვეყნებში, რომ ხელს უწყობენ სეპარატიზმის პროცესის გაძლიერებას იუგოსლავიაში და ქმნიან ბალკანეთის ახალ რუკას.

1991 წლის თებერვალში სლოვენიამ და ხორვატიამ დადეს ე. წ. „საიდუმლო გარიგება", რომელიც მკაცრი კრიტიკით გამოაქვეყნეს ბელგრადის გაზეთებმა. „საიდუმლო გარიგება" რამდენიმე კონკრეტულ ღონისძიებას ითვალისწინებდა. კერძოდ, ორივე რესპუბლიკის სრული დამოუკიდებლობის გამოცხადება, ბელგრადიდან წარმომადგენლების გამოწვევა, არმიის (რომელიც სერბებით არის დაკომპლექტებული) დაფინანსებაზე უარის თქმა, მიმართვა რესპუბლიკებში გაეროს ჯარების შემოყვანის თაობაზე, თადარიგის ოფიცრებისა და შინაგანი ჯარების გამოყენებით იუგოსლავიის არმიის ოკუპაციის შემთხვევაში ორგანიზებული ერთობლივი წინააღმდეგობის გაწევა. ხორვატებმა შექმნეს კიდეც მილიციის 50-ათასიანი გასამხედროებული ნაწილი, რომელსაც ბელგრადმა სამხედრო ძალით განიარაღება მოუნდომა. 28 თებერვალს [illegible] დაიწყო სამოქალაქო ომი არმიასა და ხორვატიის მილიციას შორის. თორმეტს რომ 5 წუთი აკლდა, ხორვატებმა დათმეს და იარაღის ჩაბარება დაიწყეს". ჩვენ ვიყავით სამხედროებთან ტოტალური ომის ზღურბლზე და სასწაულია, რომ იგი არ დაიწყო", — უთხრა ამ ამბებთან დაკავშირებით ასოშეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტს ხორვატიის პრეზიდენტმა ფრანიო ტუჯმანმა. მან მოახერხა იუგოსლავიის თავდაცვის მინისტრის ველიკო კადიევიჩის ნახვა და შეთანხმება, მაგრამ ხორვატებმა იარაღის ჩაბარება მალევე შეწყვიტეს. ამის შემდეგ, ბელგრადის „პოლიტიკამ" გამოაქვეყნა მასალა, საიდანაც ირკვევა, რომ ხორვატი მებრძოლებისთვის უნგრეთის მიერ გადაცემული ავტომატები — „კალაშნიკოვები" რადიაციულია, რადგან თავდაპირველად საბჭოთა საწყობებში ინახებოდა ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის მახლობლად და მათი ხანგრძლივი გამოყენების შემდეგ მისი ყოველი მე-2 მფლობელი გარდაიცვლებაო. ხორვატიაში თვლიან, რომ ბელგრადის გაზეთის ცნობა მონაჭორია, რადგან ცენტრს ხორვატი მებრძოლების განიარაღება სურსო.

სერბიელი სეპარატისტები ხორვატთა მიწაზე.

მიმომხილველების აზრით, სლოვენიას უფრო იოლად შეუძლია იუგოსლავიიდან გასვლა, ვიდრე ხორვატიას. საქმე ის არის, რომ სლოვენიაში სერბები არ ცხოვრობენ, ხორვატიაში კი 600 ათასი სერბია, რაც მოსახლეობის 11 პროცენტს შეადგენს. სლოვენიაში მიაჩნიათ, რომ სერბები მათ გასვლის უფლებას მისცემენ თუნდაც იმიტომ, რომ ხორვატები უმოკავშიროდ დატოვონ. „ჩვენთვის ეს დიდი დროა, — თქვა ერთ-ერთმა ლიუბლიანელმა ბიზნესმენმა „ნიუსუიკისათვის" მიცემულ ინტერვიუში. ჩვენ, ბოლოს და ბოლოს, თავს დავაღწევთ ამ დომხალს". თუ სლოვენია გაუშვეს, აღნიშნავს „ნიუსუიკის" კორესპონდენტი ენტონი ემერსონი, მაშინ ხორვატია მარტო დარჩება სერბიის წინააღმდეგ მომწიფებულ სამოქალაქო ომში, ეს საშიშროება კი მატულობს. იმ დროს, როდესაც ხორვატიის პრეზიდენტი ბელგრადში მილიციის შეიარაღებულ ძალებთან დაკავშირებით მძიმე მოლაპარაკებას აწარმოებდა თავდაცვის სამინისტროში, სერბების არაოფიციალურმა ხელმძღვანელმა ხორვატიაში იოვან რაშკოვიჩმა განაცხადა, რომ კრაინაში არჩევნები გაიმართება და ავტონომიას გამოვაცხადებთო. ამასობაში სერბიის პრეზიდენტმა, კომუნისტმა სლობოდან მილოშევიჩმა დაიფიცა, რომ ხორვატიაში სერბებს უთუოდ დაიცავს, საზღვრის შეცვლაც რომ დასჭირდესო. თავის მხრივ ხორვატებიც აწვებოდნენ ტუჯმანს, არ დაეთმო სერბიისათვის. ასეთ ვითარებაში, კრაინის ოლქისა (სადაც სერბები ცხოვრობენ) და ხორვატიის მილიციების ქვეგანაყოფებს შორის მარტის ბოლოს ტიტოვ-კორენიცის თემში, სახელმწიფო ნაკრძალის ტერიტორიაზე მოხდა შეტაკება, რომლის დროსაც ორივე მხრიდან 3 მოკლეს და 20 დაჭრეს. ამ ტრაგიკულ ამბებს მძაფრი რეაქცია მოჰყვა და იუგოსლავიის პოლიტიკური ძალების კიდევ უფრო მეტი პოლარიზაცია გამოიწვია.

სპეციალისტების აზრით, იუგოსლავიის სერიოზული პრობლემაა ბოსნია-ჰერცეგოვინის 4-მილიონიანი რესპუბლიკა (ტერიტორია — 51 ათასი კვ. კმ.) ამ მთიან მხარეში მეთორმეტე საუკუნიდან ბოგომილობა გავრცელდა და ასე ჩამოყალიბდა ბოსნიური ეკლესია. 1448 წელს, ერთ-ერთმა ბოსნიელმა მმართველმა ჰერცოგის ტიტული მიიღო და ტერიტორიას ჰერცეგოვინა ეწოდა.

ბოსნია-ჰერცეგოვინაში გასული წლის ბოლოს მოწყობილი არჩევნები უფრო მოსახლეობის აღწერას ჰგავდა. მუსლიმანებმა, რომლებიც რესპუბლიკაში უმეტესობაა, ხმა მისცეს დემოკრატიული მოქმედების მუსლიმანურ პარტიას. რაოდენობრივად მე-2 ადგილზე მყოფმა სერბებმა მხარი დაუჭირეს სერბიის დემოკრატიულ პარტიას, ხოლო ხორვატებმა — თავიანთ პარტიას. კომუნისტებმა სრული კრახი განიცადეს.

ეს არჩევნები იუგოსლავიის ყურადღების ცენტრში იყო, რადგანაც მის შედეგებზე დიდად იყო დამოკიდებული ქვეყნის ბედი. ხორვატებიც და სერბებიც თვლიან, რომ ბოსნია-ჰერცეგოვინა მათი საკუთარი მიწებია, ხოლო აქ მაცხოვრებელი ხალხი ხორვატებისათვის გათურქებული ხორვატები არიან, სერბებისთვის კი გათურქებული სერბები. გათურქებულებს კი, 2 მილიონზე მეტ კაცს, თავი მუსლიმანურ ერად მიაჩნიათ.

მხარეები მორიგდნენ და ახლად არჩეულმა პრეზიდენტმა მუსლიმანმა ალია იზეტბეგოვიჩმა, როგორც აღვნიშნეთ, ლიუბლიანის შეხვედრაზე რეფერენდუმის იდეა წამოაყენა.

რთული ვითარებაა მაკედონიის რესპუბლიკაშიც, რომლის 25,7 ათასი კმ² ტერიტორიაზე 2 მილიონი კაცი ცხოვრობს. არჩევნებში დემოკრატიული ერთობის პარტიამ გაიმარჯვა, რომელიც მოითხოვს სუვერენული მაკედონიის სახელმწიფოს შექმნას, ბულგარეთში და საბერძნეთში მცხოვრები მაკედონიელების გაერთიანებას. მათ 120-ადგილიან პარლამენტში მხოლოდ 37 მანდატი მიიღეს, რაც მთავრობის ჩამოყალიბების საშუალებას არ იძლეოდა. პრეზიდენტი გახდა 76 წლის კომუნისტი კირო გლიგოროვი, რომელიც 60-იან წლებში იუგოსლავიის მთავრობას ხელმძღვანელობდა. არჩევნებში მე-3 ადგილზე გავიდა 600-ათასიანი ალბანელების დემოკრატიული აღორძინების პარტია (25 ადგილი). ბევრის გასაკვირად და შესაშფოთებლად ალბანელთა პარტია არჩევნების დასაწყისში ლიდერობდა კიდევაც. მათ რომ გაემარჯვათ და მთავრობა შექმნათ, ალბათ მაკედონიის ალბანეთთან შეერთებას მოისურვებდნენ.

სპეციალისტები იუგოსლავიის დაშლის შესაძლო ვარიანტებიდან ორს გამოჰყოფენ.

პირველი: ხორვატიამ სერბიას კნინის კრაინა (ოლქი) უნდა დაუთმოს, ასევე სერბიას უნდა გადაეცეს ბოსნია-ჰერცეგოვინას მოსაზღვრე რაიონები. თავის მხრივ ხორვატიას უნდა გადაეცეს ჰერცეგოვინას დასავლეთი, სადაც ხორვატები ცხოვრობენ. ეს ვარიანტი პრობლემათა პრობლემაა და მან შეიძლება სამოქალაქო ომი გამოიწვიოს.

მეორე: ერთი მხრივ, შეიქმნას სლოვენიის, ხორვატიისა და მაკედონიის კონფედერაცია, მეორე მხრივ, სერბიისა და ჩერნოგორიის ფედერაცია. ხოლო ბოსნია-ჰერცეგოვინა ხორვატიამ და სერბიამ გაიყონ.

ეს ვარიანტი წარმოსადგენად იოლია, განსახორციელებლად კი ძნელი, თუმცა, როგორც ჩანს, პროცესები აქეთკენ მიდის.

ასეთია დღევანდელი იუგოსლავიის პოლიტიკური ვითარების ზოგიერთი მომენტი. იგი კიდევ ერთი მაგალითია იმისა, რომ საბოლოო ჯამში ისტორიის ლოგიკურ განვითარებას წინ ვერაფერი დაუდგება.

გურამ სიხარულიძე,
„საქართველოს რესპუბლიკის"
პოლიტიკური მიმომხილველი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშვიდობა—ქუჩებს

გაბედულად-სხვაგვარად შეუძლებელია

მრავალი წლის მანძილზე სტატისტიკამ პირველად დააფიქსირა რესპუბლიკის გზებზე ავარიულობის დონის შემცირება. რა თქმა უნდა, ჯერჯერობით სიხარული ნაადრევია, მაგრამ სამართლიანი არ იქნებოდა არ შეგვენიშნა ეს ტენდენცია, რომელსაც მტკიცე ხასიათი ეძლევა.

— მართლაც, მიმდინარე წლის თვიდან თვემდე სტაბილურად მცირდებოდა ავარიულობის მაჩვენებლები, — თქვა საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო ავტოინსპექციის სამმართველოს უფროსის მოადგილემ ბესარიონ გოგიშვილმა. — ეს კვარტალური შედეგები: დაფიქსირებულია 568 საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა, რომელთა დროსაც დაიღუპა 206 და დაშავდა 645 კაცი, — შესაბამისად 87,13 და 57-ით ნაკლები შარშანდელთან შედარებით. აქ თავი იჩინა შესაძლებლობამ დავუბრუნოთ სახელმწიფო ავტოინსპექტორები უშუალო მოვალეობის შესრულებას და წესრიგის დამრღვევი მძღოლების მიმართ გამოვიყენოთ კანონმდებლობით გამკაცრებული სანქციები. გადაჭრით აღვკვეთავთ უნომრო ავტომობილების მართვის, მძღოლის მოწმობის გარეშე, მთვრალ მდგომარეობაში მანქანის მართვის ფაქტებს. სხვათა შორის, მთვრალი მძღოლები აუცილებელი წესით, სამი წლით „გამოეთხოვებიან" მართვის მოწმობას. ზოგიერთი თავზეხელაღებული მძღოლის ცდა იგრძნოს საკუთარი განუკითხაობა მკაცრად უნდა დაისაჯოს, თუ ჩვენ გვსურს დავიცვათ ირგვლივ მყოფნი ზედმეტი გასაჭირისაგან. და კვლავაც მოვთხოვთ ყოველ თანამშრომელს კეთილსინდისიერად მიუდგეს საქმეს, განუხრელად დაიცვას კანონი.

ასეთია სპეციალისტის განმარტება. გარდა ამისა, ყურადღებას იმსახურებს კიდევ ორი მომენტი. პირველი თვით მილიციას ეხება. მხოლოდ უნდა მივესალმოთ სახელმწიფო ავტოინსპექციის კურსს, რომელიც ითვალისწინებს ჩვენი სიცოცხლისათვის საფრთხისმომტანი თავზეხელაღებული მძღოლების „მოთვინიერებას". მაგრამ ურიგო არ იქნებოდა ავტოინსპექტორებს მეტი პრინციპულობა გამოეჩინათ აგრეთვე დამრღვევი ფეხითმოსიარულეებისადმი, რომლებიც ქუჩებს კვეთენ იქ, სადაც მოეპრიანებათ. განა იშვიათია ავარიული სიტუაცია სწორედ ამ მიზეზის გამო?

და, ბოლოს, მეტი ზრუნვა უნდა გამოიჩინონ ქალაქებისა და რაიონების საგზაო-კომუნალურმა სამსახურებმა. დედაქალაქშიც კი გზის საფარი კრიტიკას მხოლოდ ქალაქის ცენტრში თუ უძლებს. და ისიც დიდი გაჭირვებით. მაგალითად, მარცხენა სანაპიროს მთელი რიგი მონაკვეთები, რომლებიც, სხვათაშორის, სულ ამ ცოტა ხნის წინათ „დაკემსეს", იქცნენ თავისებურ კიბეებად. არავინ უწყის, თუ უკვე რამდენი ხანია გადათხრილია კიევის ქუჩა... ოდნავ მოშორებით კი საერთოდ შემაშფოთებელ სურათს ნახავს კაცი. ქუჩები ღრანტეებით არის დაფარული. ყოველივე ამას ემატება ისიც, რომ ხან აქ, ხან იქ გადათხრიან ხოლმე ქუჩებს, როგორც ეს ხდება, ვთქვათ, დღესაც გლდანის მიკრორაიონებში. რა თქმა უნდა, აქ ვერ ნახავთ შემოღობილ ორმოებსა და მიწაყრილებს, უკვე არაფერს ვამბობთ დამატებით განათებაზე. განა მოძრაობის უსაფრთხოებისათვის ცხელა ასეთ შემთხვევაში მძღოლს, რომელსაც ერთი სული აქვს თავი დააღწიოს ასეთ სიტუაციას და რაც შეიძლება ნაკლებად „დააშავოს" ავტომობილი. მაგრამ მანქანა მაინც ფუჭდება. ერთი სიტყვით, თუ გავითვალისწინებთ სათადარიგო ნაწილების უმწვავეს დეფიციტს, გამოვა, რომ სატრანსპორტო საშუალებათა არადამაკმაყოფილებელი ტექნიკური მდგომარეობა საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების ერთ-ერთი ძირითადი მიზეზია, შემთხვევებისა, რომელთა რაოდენობამ ეს-ეს არის იწყო კლება.

ვლადიმერ იარალოვი,
საქინფორმის კორ.

სხვადასხვა

საქართველოს ჟურნალისტთა დამოუკიდებელ კავშირში

გაიმართა კავშირის პრემიების მიმნიჭებელი კომისიის სხდომა, რომელზეც აღინიშნა, რომ მრავალგზის გამოცხადდა 1990 წლის პრემიების პირობები. მიუხედავად ამისა, კონკურსმა დიდი დაინტერესება არ გამოიწვია. მიმდინარე წელს გამოცხადებულ კიდევ ერთ შეხსენებას პრემიების შესახებ თან ერთვოდა თხოვნა მკითხველი, მაყურებელი და მსმენელი აუდიტორიისადმი გამოეგზავნათ თავიანთი მოსაზრებები და წინადადებები. წარმოდგენილი მასალებისა და შემოსული წერილების გათვალისწინებით კომისიამ შეაჯამა კონკურსის შედეგები და მიიღო გადაწყვეტილება:

— 1990 წლის პოპულარულ ჟურნალისტად ცნონ (შემოვიდა 105 ინდივიდუალური, 12 კოლექტიური წერილი და 105 დეპეშა) საქართველოს ტელერადიო დეპარტამენტის ინფორმაციის მთავარი რედაქციის კომენტატორი **მერაბ ბერაძე**.

— სატელევიზიო ციკლისათვის „პირველი მრავალპარტიული არჩევნების წინ" პრემია მიენიჭა საქტელერადიოდეპარტამენტის სამეცნიერო ცენტრის მთავარ რედაქტორს და კომენტატორს **ვალერი კვარაცხელიას**;

— პრემია „წლის საუკეთესო ჟურნალისათვის" მიენიჭა ჟურნალ **„ხელოვნებას"**;

— პრემია „წლის საუკეთესო რაიონული გაზეთისათვის" მიენიჭა მარნეულის რაიონულ გაზეთს **„ქვემო ქართლს"**;

— გასული წლის ნოემბერ-დეკემბერში აქტიური და პატრიოტული მუშაობისათვის ჟურნალისტთა კავშირის სპეციალური პრემია მიენიჭა საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესცენტრს (ხელმძღვანელი — **ვ. გოგოლაშვილი**);

— 1990 წელს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" ფურცლებზე გამოქვეყნებული საინტერესო პუბლიკაციებისათვის პრემია მიენიჭა ჟურნალისტ **ნანა ლვინეფაძეს**.

— გასული წლის საუკეთესო რადიოგადაცემებად მიჩნეულია **„მეათე სტუდია"** (ავტორი **მ. ბაქრაძე**) და რადიოარხი **„თანაგრძნობა"** (ავტ. **მ. გეგეშიძე**).

საქინფორმი.

სამხედროებს ცვლილებები არა აქვთ

ძველი ყაიდის ახალი გამოცემა

თუ „სოიუზპეჩატის" ჯიხურებში ნახავთ გაზეთს მკითხველისათვის უცნობი სახელით — „პულსარი", მაგრამ კარგად ცნობილი დევიზით — „ჩვენი საბჭოთა სამშობლოსათვის!" და ამიერკავკასიის წითელდროშოვანი სამხედრო ოლქის დამოწმებით, არ გაგიკვირდეთ — ეს ახალი გამოცემა როდია, რომლითაც მეომრებს სურთ კვლავ „გაახარონ" მკითხველი. ეს არის „დემოკრატიული" არმიული პრესის შენიღბვის მორიგი ცდა. „გაზეთი გაზეთში", როგორც აღნიშნულია ქვესათაურში, უბრალოდ „ლენინსკოე ზნამიას" მორიგი ვარიანტია, რომელიც კარგად არის ცნობილი საქართველოს მცხოვრებლებისათვის თავისი „მიუკერძოებელი" პუბლიკაციებით.

აქამდე საოლქო გაზეთი ცდილობდა საბჭოთა არმიის ფორმაში გამოწყობილ ახალგაზრდებზე ზემოქმედება მოეხდინა სპეციალური „კომკავშირული გამოცემებით", რომლებსაც „მებრძოლი ამხანაგი" ეწოდებოდა. მაგრამ, როცა დარწმუნდნენ, რომ ეს ფურცლები ისევე ვერ შეესაბამება არმიის ახალგაზრდობის აზრებსა და მისწრაფებებს, როგორც მაღალი თანამდებობის პირების მიერ სანქციონირებული ოფიცრები, „ლენინსკოე ზნამიამ" კიდევ ერთხელ სცადა გზა გაეკვალა იდეოლოგიით, სამხედრო წვრთნითა და „ძველბიჭობით" თავმობეზრებული ახალგაზრდების გულებისაკენ.

მართალია, ჩინებულად ესმით, რომ ოლქის პოლიტსამმართველოს კომკავშირული მუშაობის განყოფილება (მან ახლახან შეიცვალა აბრა და ამჟამად სამხედრო-პოლიტიკური სამმართველო ეწოდება) დღეს ანაქრონიზმია, რომელსაც არავითარი ავტორიტეტი არა აქვს. იგი მაინც შემოინახეს, მაგრამ შექმნეს სულების მართვის კიდევ ერთი ფსევდოდემოკრატიული ორგანო — ოლქის კომკავშირულ ორგანიზაციათა საბჭო. სწორედ მისი ბეჭდვითი სიტყვის ორგანოა „პულსარი", როგორც ამიერიდან ეწოდება „ლენინსკოე ზნამიას" ცალკეულ გამოშვებებს, თითქოსდა სხვაგვარად რომ უდგება ახალგაზრდათა პრობლემების გადაჭრას. „პულსარის" გამომცემლები ამტკიცებენ, რომ იგი ახალგაზრდა ჯარისკაცებისათვის გახდება „მეგობარი, თანამოსაუბრე, მრჩეველი და ოპონენტი კამათში, ადვოკატი ცხოვრებისეულ გასაჭირში". მაგრამ აბრის გამოცვლით შინაარსი არ შეცვლილა. „პულსარის" პირველივე გამოშვებაში ცდილობენ კვლავ დაარწმუნონ სამხედრო მოსამსახურეები, რომ არმიას უსამართლოდ ესხმიან თავს, რომ მას ბრალი არ მიუძღვის, კომკავშირული იდეალების და უფროსობის წინაშე გულახდილობა კი ერთადერთი საშუალებაა მშვიდად იმსახურონ ორი წელი, და ყოველივე ეს სსრ კავშირის კონსტიტუციით არის განსაზღვრული. ნომერში დაბეჭდილია აგრეთვე ძველი ანეგდოტები, იგავი გოლიათისა და... წვივსახვევზე, რომელიც მთავრდება „მრავლისმთქმელი" რეზიუმეთი: როცა ჯარისკაცი, ასე თუ ისე, ჩაცმულ-დახურულია, წვივსაკრავზე საშიში მხეცი არ არსებობს!

ყოველივე ამის მიუხედავად, დღეს სულ უფრო მეტ სამხედრო მოსამსახურეს კარგად ესმის, თუ ვინ ვინ არის და რა არის მათი დუხჭირი ცხოვრების მიზეზი. ამიტომ სამხედრო ახალგაზრდული გაზეთის გამომგონებლებს, რომლებიც ამაყად ასაღებენ თავს ძველი ყაიდის ახალ გამოცემად, ზედმეტი არ იქნება შევახსენოთ მეორე, არანაკლებ ცნობილი იგავი, რომელიც ასე მთავრდება: „თავს რად იწუხებთ, რად არა ფიქრობთ? გინდ ასე დასხდეთ და თუნდაც — ისე, მუსიკოსებად ვერ გადაიქცეთ".

საქინფორმი.

მიმართვა

1991 წლის 15 აპრილს, გორში, პრეფექტურის სხდომათა დარბაზში გაიმართა სრულიად საქართველოს ღვთისშვილთა კავშირის (ინვალიდთა ასოციაციის) რეგიონულ ორგანიზაციათა ხელმძღვანელობის, გორის პრეფექტურისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ორგანიზაციათა წარმომადგენლების საგანგებო შეკრება შიდა ქართლსა და სამაჩაბლოში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით. შეკრებაზე მიიღეს მიმართვის ტექსტი, რომელსაც ვთავაზობთ მკითხველებს.

მის ყოვლად უწმინდესობას დიმიტრიოს პირველს,
კონსტანტინოპოლის — ახალი რომის მთავარეპისკოპოსსა და
მსოფლიო პატრიარქს;
მის უწმინდესობას
იოანე-პავლე მეორეს, რომის პაპს,
მის უწმინდესობასა და უნეტარესობას ილია მეორეს,
სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს;
მის უწმინდესობას ალექსი მეორეს,
მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქს;
ბატონ პერეს დე კუელიარს,
გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს;
დედა ტერეზას,
მის აღმატებულებას ბატონ ჯორჯ ბუშს,
ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტს;
მის აღმატებულებას ბატონ ზვიად გამსახურდიას,
საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს;
ღვთისშვილებს

გამოხატა რა ქართველი ერისა და საქართველოში მცხოვრები ყველა სხვა ხალხის ნება, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ ა. წ. 9 აპრილს მიიღო საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქტი, რასაც დაუყოვნებლივ მოჰყვა იმპერიული კრემლის საოკუპაციო ჯარების უხეში ჩარევის გააქტიურება ჩვენი სუვერენული რესპუბლიკის საშინაო საქმეებში.

ეს განსაკუთრებული სისასტიკითა და ცინიზმით ვლინდება საქართველოს ერთ-ერთ ძირძველ კუთხეში — შიდა ქართლსა და სამაჩაბლოში (ყოფილ ე. წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში). კრემლის მიერ ინსპირირებული ე. წ. ეთნოკრიზისის პირობებში ილახება ადამიანთა საყოველთაოდ აღიარებული ელემენტარული უფლებები... იღვრება სისხლი... ცოცხლად წვავენ ქართველებს... ოკუპანტებმა დაწვეს წმინდა გიორგისა და წმინდა სამების ეკლესიები...

კრემლის მიერ წაქეზებული ოსი ექსტრემისტები აღარც ინვალიდებს ინდობენ, უკვე მოკლეს ერთი ქართველი ინვალიდი, სხვებს კი აიძულებენ დატოვონ სამკვიდრო... უხეშად ირღვევა გაეროს 1975 წლის 9 დეკემბრის „ინვალიდთა უფლებების დეკლარაცია", რის გამოც ღვთისშვილთა კავშირის ქართლის რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარემ, პირველი ჯგუფის უსინათლო ინვალიდმა ბატონმა ელგუჯა კასრაძემ ქ. გორში ა. წ. 12-15 აპრილს მოაწყო ოთხდღიანი საპროტესტო გამაფრთხილებელი შიმშილობა, რაც ჩვენი კავშირის დაჟინებული მოთხოვნით შეწყდა, რადგანაც საფრთხეს უქმნიდა ბატონ ელგუჯა კასრაძის ისედაც სუსტ ჯანმრთელობას.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო, სრულიად საქართველოს ღვთისშვილთა კავშირი (ინვალიდთა ასოციაცია), რომელიც აერთიანებს სხვადასხვა რწმენისა და ეროვნების (მათ შორის, ოსებსაც) ადამიანებს, იძულებულია, მიმართოს კაცობრიობის ისტორიაში გაუგონარ საპროტესტო აქციას — საქართველოში მოსახლე ინვალიდთა საერთო რესპუბლიკურ ერთკვირიან გამაფრთხილებელ პოლიტიკურ გაფიცვას სუვერენული ქართული სახელმწიფოს საშინაო საქმეებში კრემლის იმპერიული ჩარევის წინააღმდეგ, რასაც თან სდევს ადამიანთა, მათ შორის, ინვალიდთა უფლებების შელახვა.

სრულიად საქართველოს ღვთისშვილთა კავშირი (ინვალიდთა ასოციაცია) თქვენი სახით მოუწოდებს მთელ ცივილიზებულ სამყაროს, მხარი დაუჭირონ ქართველი ხალხის სამართლიან ბრძოლას ეროვნულ-სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისათვის. უერთდება ქართველი ხალხის მიერ გამოცხადებულ ეროვნულ დაუმორჩილებლობას და მოითხოვს:

1. დაუყოვნებლივ შეწყდეს იმპერიული კრემლის უხეში ჩარევა საქართველოს რესპუბლიკის საშინაო საქმეებში და ქართველი ერის გენოციდი;
2. დაუყოვნებლივ გაიყვანონ რესპუბლიკის ტერიტორიიდან კრემლის საოკუპაციო ჯარები;
3. გაეროში აღიძრას საქართველოს რესპუბლიკის გაეროს წევრად მიღების საკითხი.

ჩვენი გამაფრთხილებელი ერთკვირიანი საპროტესტო აქცია იწყება 16 აპრილიდან, და თუ ჩვენი ზემოაღნიშნული მოთხოვნები არ დაკმაყოფილდება, უახლოეს მომავალში მივმართავთ პროტესტის უკიდურეს ფორმებს.

ღმერთი იყოს ჩვენი მფარველი!

ქრისტესმიერი სიყვარულითა და კრძალვით

ზაზა ხიხარულიძე,
სრულიად საქართველოს ღვთისშვილთა კავშირის (ინვალიდთა ასოციაციის) პრეზიდენტი

მიმართვა მიღებულია სრულიად საქართველოს ღვთისშვილთა კავშირის (ინვალიდთა ასოციაციის) საგანგებო შეკრებაზე ქ. გორში, 1991 წლის 15 აპრილს.

სპორტი

ამჟამად „გოჯუ-რიუ"

აღმოსავლური ბრძოლების შესწავლა-დაუფლება დღეს ჩვენი ახალგაზრდობის ერთ-ერთ ყველაზე დიდ სპორტულ გატაცებად იქცა. ამიტომაც არის, რომ ჩვენში წარმატებით ვითარდება კარატეს მრავალფეროვანი მიმართულებანი. რაც შეეხება „გოჯუ-რიუ"-ს — კარატეს ამ უძველეს სტილს — იგი მართლაც იშვიათობას წარმოადგენს და ალბათ ამიტომაც ძნელად თუ სადმე წააწყდებოდით ამ სტილით მოვარჯიშე კლუბსა თუ პიროვნებას.

ამ სკოლას ჰყავდა ისეთი საქვეყნოდ სახელგანთქმული ოსტატები, როგორიც იყვნენ მიაგის რამდენიმე თაობა, ვეფხვებთან მებრძოლი იამაგუჩი და სხვები. „გოჯუ-რიუს" ოსტატები ნაკლებად ეწეოდნენ მის პოპულარიზაციას ქვეყნის გარეთ. მიუხედავად ამისა ახლა ეს სტილიც ინერგება საქართველოში (კლუბი „ავაზა" — ხელმძღვანელები პაატა პელიძე და ოთარ გრძელიშვილი).

„გოჯუ-რიუს" სტილის ძირითადი არსი იმაში მდგომარეობს, რომ ფიზიკურ ძლიერებასთან ერთად ადამიანს უყალიბებს რბილსა და ჰუმანურ ხასიათს, რაც ჭეშმარიტად შეესაბამება ჩვენი ახალგაზრდობის დღევანდელ სულიერ მოთხოვნებს.

აღსანიშნავია, რომ მსოფლიო კარატეს ერთ-ერთი უდიდესი დიდოსტატი, გოჯუ-რიუს საერთაშორისო ფედერაციის თავმჯდომარე და მთავარი ინსტრუქტორი მორიო ჰიგაონა (მე-8 დანი) აქტიურად ეწევა კარატეს ამ უნიკალური სტილის პროპაგანდას სხვადასხვა ქვეყნებში.

შვეციაში მისი პირველი ვიზიტის დროს ადგილობრივი კარატეს სკოლის მესვეურებმა მას წარუდგინეს ჩვენი თანამემამულე პაატა პელიძე, რომელიც იმ პერიოდში ხანგრძლივი სამეცნიერო მივლინებით იმყოფებოდა უფსალის უნივერსიტეტში. სახელგანთქმულ სენ-სეისთან ვარჯიშმა და მისმა დაინტერესებამ საქართველოთი, განაპირობა ჩვენში „გოჯუ-რიუს" სტილის დამკვიდრება და ის საგულისხმო კონტაქტები, რომელიც კლუბ „ავაზას" აკავშირებს შვეციის კარატეს სკოლასთან.

გასული წლის თებერვალში თბილისში იმყოფებოდნენ „გოჯუ-რიუს" ცნობილი შვედი ინსტრუქტორი ულე ნინბერგი (მე-2 დანი) და შვეციის „კარატე — ხალხთა ურთიერთობის" ფირმის პრეზიდენტი ლარს ნინბერგი, რომლებმაც კლუბ „ავაზაში" ჩაატარეს ატესტაცია, რომელიც წარმატებით ჩააბარა რვა ქართველმა სპორტსმენმა. ისინი სენ-სეი ჰიგაონას მიწვევით მიმდინარე წლის ივლისში გაემგზავრებიან დანიაში სრულიად ევროპის ასპარეზობა-სემინარზე. ქართველ სპორტსმენთა უკეთ მომზადებისათვის ბატონ ჰიგაონასა და შვეციის კარატეს ფირმის დავალებით მაისში თბილისში ჩამოვა „მიაგი შოჯენ მემორიალის" (მსოფლიო ჩემპიონატი გოჯუ-რიუსა და ტრადიციულ კარატეში) 1989-90 წლის ჩემპიონი ინგლისელი ერნი ბოლინექსი (მე-4 დანი). ასე რომ „გოჯუ-რიუ" სულ უფრო პოპულარული გახდება ჩვენს ქალაქში. ამაზე მეტყველებს ცხოველი ინტერესი, რომელიც ნათლად ჩანს ყოველ ორშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს სპორტულ კომპლექს „ქარიშხალს" მოფარიკავეთა დარბაზში, სადაც კარატეკლუბი „ავაზა" მასპინძლობს ამ უნიკალური სტილით დაინტერესებულ ახალგაზრდებს.

გიგა დუშელი.

ახალი წიგნი

ჭეშმარიტი სიმართლის მამხილებელი

ყოფილი სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი არსებითად ქართველი ხალხის დაუკითხავად და მისი ნების საწინააღმდეგოდ შეიქმნა, იმ ოსი სეპარატისტების სამებლად, რომლებიც დაეხმარნენ რკპ კავკასიის სამხარეო კომიტეტსა და ქართველ ბოლშევიკებს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ლიკვიდაციაში. ავტონომიური ოლქის შექმნას არავითარი იურიდიული საფუძველი არ გააჩნდა — ამ დასკვნამდე მივიდა საქართველოს უზენაესი საბჭოს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სტატუსთან დაკავშირებით დასმულ საკითხთა შემსწავლელი დეპუტატთა კომისია უამრავი საარქივო დოკუმენტისა და ფაქტების შესწავლისა და გაანალიზების შედეგად.

კომისიამ, რომელსაც ხელმძღვანელობს საქართველოს უზენაესი საბჭოს წევრი, საქართველოს კინემატოგრაფისტთა კავშირის პირველი მდივანი ელდარ შენგელაია და რომელშიც შედიოდნენ ცნობილი მეცნიერები, ლიტერატურისა და წარმოების თვალსაჩინო წარმომადგენლები, დიდძალი ისტორიული და თანამედროვე მასალა შეისწავლა, თითქმის ყველა ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვანი დადგენილება განიხილა. გარკვეული ყურადღება დაუთმო თვით ოსურ ისტორიოგრაფიაში არსებულ წყაროებს, ოსი ავტორების მიერ გამოცემულ წიგნებსა და სამეცნიერო ნაშრომებს. და აი, ახლახან საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს ინიციატივით გამოვიდა და საზოგადოებრიობამ მიიღო ნაშრომი „ქართველი და ოსი ხალხების ურთიერთობათა ისტორიიდან" — სამხრეთ ოსეთის ოლქის სტატუსის შემსწავლელი კომისიის დასკვნა. ეს უაღრესად საჭირო წიგნი გამოსცა საქართველოს რესპუბლიკის ილია ჭავჭავაძის სახელობის საზოგადოება „ცოდნამ".

ქართველი
და
ოსი ხალხების
ურთიერთობის
ისტორიიდან

კომისიის დასკვნა გამოირჩევა დოკუმენტურობით, მეცნიერული სიზუსტით, რეალური ფაქტების გამოყენებით.

ეს წიგნი ყველა ქართველმა, ოსმა, საქართველოში მცხოვრებმა ყველა ერის შვილმა უნდა წაიკითხოს, რათა ყველასთვის ნათელი გახდეს სიმართლე.

წიგნის ტირაჟია 100.000, რედაქტორი — ნუგზარ წერეთელი. მისი გამოცემით საზოგადოება „ცოდნამ" უაღრესად კარგი და საჭირო ეროვნული საქმე გააკეთა. სულ მალე ეს ნაშრომი რუსულ ენაზეც გამოვა. საზოგადოება „ცოდნა" მას დაუგზავნის საბჭოთა იმპერიაში შემავალ ყველა რესპუბლიკასა და ავტონომიურ ფორმირებებს, საზღვარგარეთის ქვეყნებს, რათა მთელმა მსოფლიომ მიიღოს ობიექტური ინფორმაცია ეგრეთ წოდებული სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის შექმნის უკანონობაზე, რომ ქართველების ძირძველი მიწა — სამაჩაბლო — საქართველოსაგან განუყოფელია.

ნინო თათრულაიძე,
საქინფორმის კორ.

პრემიერა

ეროსი მანჯგალაძის ხსოვნისათვის

სანდრო ახმეტელის თეატრის პრიზის მფლობელმა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის თეატრმა თავისი მორიგი პრემიერა მიუძღვნა გამოჩენილი მსახიობის ეროსი მანჯგალაძის ხსოვნას. მან უჩვენა რეზო გაბრიაძის პიესის მიხედვით დადგმული სპექტაკლი „მარშალ დე ფანტიეს ბრილიანტები", რომელიც დადგა საქართველოს ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ გიორგი თოდაძემ. სპექტაკლის მხატვარია ირაკლი იმერლიშვილი, მუსიკალურად გააფორმა მარინე აბულაძემ, ქორეოგრაფია რესპუბლიკის სახალხო არტისტი ბესიკ სვანიძე, რეჟისორის ასისტენტი — მალხაზ ზამბახიძე. სპექტაკლში მონაწილეობენ დასის წამყვანი მსახიობები.

●

სურათებზე: სპექტაკლის სცენა; ვანო ფანტიაშვილის მთავარ როლს ასრულებს გოგა გიგელია. **ვაზგენ პეტროსიანის** ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ხსოვნა

ღვაწლი მამულიშვილისა

რა სწრაფად გარბის დრო. გამოჩენილ ქართველ ორიენტალისტ-ისტორიკოსს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორს, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტს, აკადემიკოს გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის შუასაუკუნეების ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიის განყოფილების გამგეს, მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწეს, ქართველ აღმოსავლეთმცოდნე მედიევისტ ისტორიკოსთა სკოლის ფუძემდებელს, მათ აღმზრდელსა და მასწავლებელს, პროფესორ ვალერიან ნიკოლოზის ძე გაბაშვილს მიმდინარე წლის 9 აპრილს დაბადების 80 წელი შეუსრულდებოდა.

მშობლიური ერის მოსიყვარულე, პატრიოტი, და სხვა ხალხთა მუდამ პატივისმცემელი პროფესორი ვ. გაბაშვილი, სამწუხაროდ, ვერ მოესწრო დღევანდელ ბედნიერ დღეს, როცა ქართველმა ხალხმა ფართოდ გაშალა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობისათვის, ალბათ, ამ სავსებით გასაგებმა ადამიანურმა თვისებებმა მიიყვანა იგი მეცნიერების იმ დარგთან, რომელსაც მან მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება შეალია. პროფესორი ვ. გაბაშვილი გარდაიცვალა 1985 წლის 1 ივნისს.

ვ. გაბაშვილი ეკუთვნოდა იმ ბედნიერ თაობას, რომელმაც მეცნიერული წრთობა დიდი ივ. ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით გაიარა.

1937 წელს კავკასიისმცოდნეობის (შემდგომში ენის, ისტორიისა და მატერიალური კულტურის) ინსტიტუტში ასპირანტად ჩარიცხული ახალგაზრდა მკვლევარი შეუდგა შუასაუკუნეების საქართველოსა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების (ირანი, არაბული ქვეყნები, თურქეთი) ისტორიის გულმოდგინე შესწავლას და მისი თითქმის ნახევარსაუკუნოვანი მეცნიერული მოღვაწეობის შედეგია ის, რომ დაგვიტოვა ასამდე სამეცნიერო ნაშრომი, რომელთაგან თითოეული წარმოადგენს ახალ სიტყვას ქართულ ისტორიულ მეცნიერებასა და აღმოსავლეთმცოდნეობაში.

პროფესორი ვ. გაბაშვილი იყო უაღრესად ერუდირებული და ფართო განათლების მკვლევარი. ევროპული და აღმოსავლური ენების საფუძვლიანი ცოდნა საშუალებას აძლევდა მას საკუთარი წარმოდგენა ჰქონოდა თანამედროვე ევროპული და აღმოსავლური მეცნიერების დონეზე, მუდამ საქმის კურსში ყოფილიყო და გაეთვალისწინებინა მსოფლიო ორიენტალისტიკის მიღწევები. ამ მიღწევათა შეფასების მიზნით, იგი ძალ-ღონეს არ იშურებდა დაეწერა ობიექტური და პირუთვნელი რეცენზიები თანამედროვე მკვლევართა ნაშრომებზე.

მეტად ფართო იყო ვ. გაბაშვილის სამეცნიერო ინტერესები როგორც ქრონოლოგიურად, ასევე თემატურადაც. იგი ჩვეული გულმოდგინებით, ანალიტიკური ხედვითა და დაინტერესებით იკვლევდა საქართველოსა და ახლო აღმოსავლეთის სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის, აღმოსავლური და ქართული ქალაქებისა და საქალაქო ცხოვრების, აღმოსავლური ფეოდალიზმის გენეზისისა და განვითარების, ქართული და აღმოსავლური ფეოდალური, ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებთან სავაჭრო-ეკონომიკური და პოლიტიკური ურთიერთობების, ქართული და სპარსული დიპლომატიის, წყაროთმცოდნეობის, დიპლომატიკის, კულტურისა და მრავალ სხვა საკითხს. ვ. გაბაშვილის მდიდარი სამეცნიერო მემკვიდრეობიდან საგანგებოდ აღსანიშნავია მისი ერთ-ერთი, 1958 წელს დასტამბული სქელტანიანი მონოგრაფია „ქართული ფეოდალური წყობილება XVI-XVII საუკუნეებში (შედარებითი შესწავლის ცდა)," რომელიც ავტორის სადოქტორო დისერტაცია იყო. ამ ნაშრომით კიდევ ერთხელ თვალნათლივ გამოჩნდა, რომ ვ. გაბაშვილის სახით ქართულ ისტორიულ მეცნიერებასა და აღმოსავლეთმცოდნეობას ჰყავდა ფეოდალური ხანის საქართველოსა და ახლო აღმოსავლეთის ნიჭიერი მკვლევარ-ანალიტიკოსი, რომელმაც თანაბარი წარმატებით გამოიკვლია ქართული ისტორიული სინამდვილე აღებულ ხანაში, ასევე ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიის საკითხები და მოგვცა მეტად საყურადღებო დასკვნები აღნიშნული რეგიონის წარსულის ურთიერთმიმართებაში შესწავლა-გაანალიზების შედეგად. ამიტომ იქცა ვ. გაბაშვილის ეს მონოგრაფია სამაგიდო წიგნად ყველა იმ მკვლევარისათვის, ვინც შუასაუკუნეების საქართველოსა და ახლო აღმოსავლეთის ისტორიის საკითხებს სწავლობს. სხვა რომ არაფერი გაეკეთებინა, პროფ. ვ. გაბაშვილს მხოლოდ აღნიშნული წიგნი დაუმკვიდრებდა საპატიო ადგილს სხვა გამოჩენილ ქართველ ისტორიკოსთა შორის და უკვდავჰყოფდა მის სახელს.

პროფ. ვ. გაბაშვილმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ქართული საისტორიო წყაროების მნიშვნელობას ახლო აღმოსავლეთის ისტორიის ცალკეული საკითხების შესწავლაში. მანვე მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქართული ისტორიოგრაფიის, განსაკუთრებით შესანიშნავი ქართველი ისტორიკოსისა და გეოგრაფოსის ვახუშტი ბაგრატიონის ცხოვრება-მოღვაწეობისა და მეცნიერული მემკვიდრეობის შესწავლის საქმეში. მან უცილობლად დაამტკიცა, რომ „ვახუშტი თავისი ისტორიული შემოქმედებით მეტ-ნაკლებად უკავშირდება XVII-XVIII სს. ევროპული ისტორიოგრაფიის სამსავე სკოლას „ჰუმანიტარულს", „საისტორიო-საეკლესიოსა" და „ერუდიტულ-ისტორიულს". ისტორიული ფაქტების დალაგებით, მათი განზოგადების უნარითა და ფართო ისტორიული თემატიკით კი ვახუშტი ახლო დგას XVIII საუკუნის „განმანათლებელ ისტორიკოსთა უშუალო წინამორბედებთან". ასეთია ვ. გაბაშვილის დასკვნები ამ საკითხზე და, თუ შეიძლება ასე ითქვას, მისი ისტორიული თვალსაწიერი: ფართო, ღრმა და შინაარსიანი.

განსაკუთრებით ნაყოფიერი იყო უთუოდ ორატორული ნიჭით დაჯილდოებული ვ. გაბაშვილის ორმოცწლიანი მოღვაწეობა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც თითქმის მეოთხედი საუკუნის მანძილზე ხელმძღვანელობდა მის მიერვე დაარსებულ აღმოსავლეთის ისტორიის კათედრას. მრავალს კარგად ახსოვს მისი შთაგონებით აღსავსე, მდიდარი ფაქტობრივი მასალითა და ღრმა თეორიულ და მაღალმეცნიერულ დონეზე წაკითხული ლექციები.

აღსანიშნავია ვ. გაბაშვილის, როგორც რედაქტორის, საქმიანობა. ამ მეტად საპასუხისმგებლო საქმეში მისთვის არ არსებობდა წვრილმანი და მეორეხარისხოვანი. ამის სანიმუშო მაგალითია ვ. გაბაშვილის მიერ რედაქტირებული მისი სათაყვანო მასწავლებლის აკად. ივ. ჯავახიშვილის ნაშრომთა თორმეტტომეულის პირველი ორი ტომი, რომლებიც შეიცავენ „ქართველი ერის ისტორიის" პირველ ორ წიგნს. ვ. გაბაშვილის, როგორც რედაქტორის მუშაობის ძირითადი პრინციპი იყო სარედაქციო მასალის მკაცრი, მაგრამ საქმისათვის სასარგებლო კრიტიკული თვალით გადახედვა, გათვალისწინება ყველა წინარე გამოცემის თავისებურებებისა, თუ წიგნი დასასტამბავად მზადდებოდა, მისი შეჯერება ავტორისეული ხელნაწერის ტექსტთან, თუ საამისო საშუალება იყო, საეჭვო ისტორიული ფაქტებისა თუ მოვლენის ხელახალი გადასინჯვა, დაზუსტება-დაკონკრეტება, მოშველიება მრავალი წყაროსა და სპეციალური ლიტერატურისა. მისი ხელმძღვანელობითა და რედაქციით გამოვიდა მრავალი სამეცნიერო კრებული და მონოგრაფია.

შეიძლება თამამად ითქვას, რომ მეცნიერის ერთ-ერთი მთავარი საზრუნავი მაინც ახალგაზრდა აღმოსავლეთმცოდნე-ისტორიკოსთა აღზრდა-მომზადება იყო. ყოველ შემთხვევაში, იგი ასე თვლიდა. კერძოდ, ამ კეთილშობილურ და მაღალ მიზანს ემსახურებოდა მისი თანაავტორობითა და რედაქციით 1957 წ. საბჭოთა კავშირში იმ ხანად ერთადერთი დამხმარე სახელმძღვანელოს „ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან (ფეოდალური ხანა)" გამოქვეყნება.

დაუზარელი, მზრუნველი, გულმოდგინე მასწავლებელი დღეხიადაგ თავს დასტრიალებდა თავის მრავალრიცხოვან მოწაფეებსა და ისინიც მუდამ მადლიერნი და პატივისმცემელნი იმავე სიყვარულით პასუხობდნენ მას. ვ. გაბაშვილის როგორც გულისხმიერი აღმზრდელისა და ახალგაზრდობის საუკეთესო მეგობრის საილუსტრაციოდ საკმარისია აღინიშნოს თუნდაც ის ფაქტი, რომ მისი ხელმძღვანელობით დამუშავებული და დაცულია ოცდაათზე მეტი საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაცია.

ამიტომ ითვლება ვ. გაბაშვილი ქართველ აღმოსავლეთმცოდნე მედიევისტ ისტორიკოსთა სკოლის დამაარსებლად საქართველოში.

აქვე, სასიამოვნო მოვალეობად ვთვლით აღვნიშნოთ, რომ პროფესორ ვ. გაბაშვილის ნათელმა გონებამ ქართულ მწერლობაშიც გაიელვა. საოცარია, მაგრამ ფაქტია, თუ როგორ მოახერხა ამ სრულიად ახალგაზრდა კაცმა თავის დროზე მადლიანი ქართული ენით დაეწერა სრულყოფილი, მაღალმხატვრული რომანი „აივნიანი ქალაქი", პირველად „მნათობში" რომ დაიბეჭდა, ხოლო შემდეგ ცალკე წიგნადაც გამოქვეყნდა ნიკოლოზ გაბაონის ხელმოწერით.

ვალმოხდილმა მამულიშვილმა, მეცნიერმა, აღმზრდელმა წარუშლელი კვალი დატოვა ქართულ მეცნიერებაში და საერთოდ ქართულ კულტურაში.

ა. აფაქიძე,
აკადემიკოსი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი.

ო. ცქიტიშვილი,
პროფესორი, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკად. გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის შუასაუკუნეების ახლო აღმოსავლეთის ქვეყნების ისტორიის განყოფილების გამგე.

განცხადება

ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის საქართველოს რაიონული განყოფილებების საყურადღებოდ!

ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის რაიონული განყოფილებების თავმჯდომარეებს და მათ მოადგილეებს ვთხოვთ გამოცხადდნენ კავშირის შტაბ-ბინაში (9 აპრილის — ყოფილი ჩიტაძის ქ. № 2, მე-4 სართული) პარასკევს 19 აპრილს, 17 საათზე. აუცილებელია თან იქონიონ კავშირიდან ადგილობრივ საკრებულოებში არჩეულ დეპუტატთა სრულყოფილი მონაცემები.

ქართველ ტრადიციონალისტთა კავშირის საინფორმაციო ცენტრი.

მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი

მისამართი: 380008, თბილისი, მ. კოსტავას ქ. № 14.
ტელეფონები: მთავარი რედაქტორის მისაღები 99-92-26;
წერილების რედაქცია 99-73-24.
იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო
კორპუსში, ხოშარაულის ქ. № 29.
[illegible]

საქართველოს რესპუბლიკა